

ბავშვთა უფლებები საქართველოში

საანგარიშო ბარათი 2019





წინამდებარე ანგარიში მომზადებულია პროექტის „გავაძლიეროთ ბავშვების ხმა“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მიერ.

პროექტი „გავაძლიეროთ ბავშვების ხმა“ დაფინანსებულია ბულგარეთის განვითარების სააგენტოს მიერ.

ანგარიში მომზადდა პროექტის „შეუძლებელია ბავშვთა უფლებების რეალიზება მათი მონაწილეობის გარეშე“ ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი ხორციელდება სომხეთის ბავშვთა დაცვის ქსელის მიერ.

პროექტი „შეუძლებელია ბავშვთა უფლებების რეალიზება მათი მონაწილეობის გარეშე“ დაფინანსებულია ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

აღნიშნული პუბლიკაცია მომზადებულია ბულგარეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის და შესაძლოა, არ ასახავდეს ბულგარეთის განვითარების სააგენტოსა და ბულგარეთის რესპუბლიკის შეხედულებებს.

აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის და შესაძლოა, არ ასახავდეს ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სომხეთის ბავშვთა დაცვის ქსელის შეხედულებებს.

კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის (CCY), 2020

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა
2019 წლის ანგარიში

კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის

ანგარიშის მომზადებაზე მუშაობდნენ

სოციალური მუშაობა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში

ქეთევან გიგინეიშვილი, დირექტორი, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW)
გურანდა თეთრამე, პროექტის მენეჯერი, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW)

პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებები

თამარ ივანიძე, თავმჯდომარე, ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის (ISC)

რეინტეგრაციის პროგრამის შეფასება

სალომე ჭიჭინაძე, სოციალური მიმართულების მენეჯერი, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი

ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების დანერგვის პოლიტიკა და პრაქტიკა

ცირა ბარქაია, ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების ტექნიკური პროგრამის კოორდინატორი, World Vision საქართველო

ნინო ფრუიძე, პროექტის კოორდინატორი, Save the Children International

ბავშვთა ინსტიტუციური ზრუნვის ტენდენციები

ნინო ნუცუბიძე, ბავშვთა დაცვის დამოუკიდებელი ექსპერტი

ბავშვთა სიღარიბე და დეინსტიტუციონალიზაცია

ნანა გოჩიაშვილი, პროექტების ხელმძღვანელი, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)

ბავშვთა მიმართ ძალადობა

ანა აბაშიძე, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)

მკვდრადშობადობის და ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის პრობლემა

ნინო წულეისკირი, დირექტორი, ასოციაცია ჰერა ოცდაერთი

გულნარა შელია, საბჭოს წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოციაცია ჰერა ოცდაერთი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

ანტონ ქელბაქიანი, ორგანიზაციის თავმჯდომარე, ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა

დიანა ჯანაშია, ოჯახისა და თემის სერვისების კოორდინატორი, მაკ ჯორჯია

გარე ექსპერტები

თამარ გოლუბიანი, ორგანიზაცია გადავარჩინოთ ბავშვები საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი
რუსუდან ბოჭორიშვილი, გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს ბავშვთა ადრეული ინტერვენციის კოალიცია

ანა ლალიძე, ინკლუზიური განათლების ექსპერტი, გადავარჩინოთ ბავშვები საქართველო

ნინო ჭითანავა, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, PhD

სარჩევი

რა არის მთავრობის საშუალო ქულა ბავშვზე ზრუნვის მიმართულებით, 2019 წელი	4
ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა: რა არის მთავრობის საშუალო ქულა ბავშვზე ზრუნვის მიმართულებით 2019 წელს	5
შესავალი.....	8
სოციალური მუშაობა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში	9
პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებები	15
რეინტეგრაციის პროგრამის შეფასება.....	21
ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების დანერგვის პოლიტიკა და პრაქტიკა	27
ბავშვთა ინსტიტუციური ზრუნვის ტენდენციები.....	33
ბავშვთა სიღარიბე და დეინსტიტუციონალიზაცია	39
ბავშვთა მიმართ ძალადობა	43
მკვდრადშობადობის და ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის პრობლემა.....	47
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	53
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა.....	57
კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის წევრი ორგანიზაციები	63

**რა არის მთავრობის საშუალო ქულა
ბავშვზე ზრუნვის მიმართულებით, 2019 წელი**

შეფასებული სფერო	ქულა
სოციალური მუშაობა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში	2.3
პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებები	1.5
რეინტეგრაციის პროგრამის შეფასება	2
ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების დანერგვის პოლიტიკა და პრაქტიკა	2
ბავშვთა ინსტიტუციური ზრუნვის ტენდენციები	1.5
ბავშვთა სიღარიბე და დეინსტიტუციონალიზაცია	1
ბავშვთა მიმართ ძალადობა	2.5
მკვდრადშობადობისა და ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის პრობლემა	3
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	3.5
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა	2.5

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა: რა არის მთავრობის საშუალო ეულა ბავშვზე გრუნვის მიმართულებით 2019 წელს

სოციალური მუშაობა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში

სოციალური მუშაობის სფერო სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. პრობლემურია სოციალური მუშაკების შრომითი პირობების ყველა მიმართულებით. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ადეკვატურად შეაფასოს სოციალური მუშაობის საჭიროება, საჭიროების შესაბამისად დაგეგმოს პროფესიის განვითარების პროცესი და ამაში ჩართოს სფეროს ექსპერტები და გაითვალისწინონ მათი მოსაზრებები.

პრევენციული და ოჯახის მხარდაჭერა მომსახურებაები

კვლევები მიუთითებს ბავშვიანი ოჯახების წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებზე. ამის საპასუხოდ, მწირია სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირებული ანდა მისი მხარდაჭერით განხორციელებული პრევენციული შინაარსის პროგრამები. ამასთან, ამ მიმართულებით არ არსებობს სამოქმედო გეგმა, რომელშიც პრევენციისა და ოჯახების მხარდაჭერაზე ორიენტირებული კონკრეტული პროგრამები/მოდულები იქნებოდა წარმოდგენილი. მართალია, 2019 წელს მიღებული ბავშვის უფლებათა კოდექსი მოიცავს ჩანაწერს ოჯახების მხარდაჭერის მიმართულებით, თუმცა, კვლავაც ბუნდოვანია თუ როგორ მოხდება კანონმდებლობის აღსრულება და რეალურად რა შინაარსის პროგრამები განვითარდება, როგორ განხორციელდება ისინი, რა რესურსები (როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური) იქნება მობილიზებული მათი შესაბამისი ხარისხით განხორციელებისთვის.

რეინტეგრაციის პროგრამის შეფასება

რეინტეგრაციის პროგრამა, რომელიც არსებობს 20 წელს ითვლის, კვლავ არწმუნებს სახელმწიფოს, რომ მეტად ხარჯეფექტურია ბავშვების ბიოლოგიურ გარემოში მხარდაჭერა, ვიდრე სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში. ამასთან, ოჯახებისთვის მხარდაჭერი სისტემების განვითარება უზრუნველყოფს სისტემაში მყოფი ბავშვების რეინტეგრაციის პროცესის სტიმულირებას და უკეთეს გარემოში აღზრდის ხელშეწყობას. ამის მიუხედავად, ქვეყანაში პროგრამა სერიოზული გამოწვევების წინაშეა.

ხარისხიანი ადრეული და სკოლაშეფერხებული ბავშვების დანერგვის პოლიტიკა და პრაქტიკა

ადრეული ასაკის ბავშვებისათვის მიწოდებული სკოლაშეფერხებული განათლების მომსახურება სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. 2016 წელს ადრეული და სკოლაშეფერხებული აღზრდისა და განათლების შესახებ ეროვნული კანონის დამტკიცების შემდგომ ძირეული რეფორმები მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რაც საკითხებში, ძალიან ნელა მომდინარეობს ან შეეფერხებულა გაურკვეველი მიზნით და ვადით.

მართალია, სახელმწიფოს მხრიდან რამდენჯერმე დაფიქსირდა, რომ სკოლაშეფერხებული განათლების გაუმჯობესება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე ამ მხრივ სათანადო საბიუჯეტო სახსრების მობილიზება სერიოზულად პრობლემად რჩება.

ბავშვთა ინსტიტუციური გრუნვის ტენდენციები

სახელმწიფოს მიერ დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის გატარების მიუხედავად, საქართველოში დღეს მკვეთრად იკვეთება დაუცველი ბავშვების ინსტიტუციური (ოჯახის ალტერნატიული) ზრუნვის ტენდენციები, ნაცვლად მათი ბიოლოგიურ ოჯახში აღზრდის შესაძლებლობებით უზრუნველყოფისა. სახელმწიფო ზრუნვის პროგრამებში დეფიციტურია სოციალური მუშაკის ხელმისაწვდომობა, მათ მიერ პროფესიული კომპეტენციის შესაბამისი მომსახურების გაწევა და ოჯახის მხარდაჭერი პრაქტიკა. შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკა

უფრო მეტად ორიენტირებულია კრიზისის ინტერვენციაზე (ბავშვის უსაფრთხო გარემოში გადაყვანა), ვიდრე ოჯახის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანაზე (მისი ოჯახში შენარჩუნება ან დროული დაბრუნება).

ბავშვთა სიღარიბე და დეინსტიტუციონალიზაცია

ბავშვთა სიღარიბე და მისი უმძიმესი შედეგები ბავშვზე ზრუნვის სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. ხშირად სწორედ ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხდება იმის მიზეზი, რომ ბავშვები დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში ხვდებიან. ამ ვითარებაში სახელმწიფოს ქმედებები ვერ ჩაითვლება ეფექტურად და პრაქტიკაში ვერ ქმნის მძიმე მდგომარეობის რეალური გამოსწორების შესაძლებლობას. ამ პრობლემის ერთ-ერთი მძიმე შედეგია ის, რომ ბავშვები დღემდე ცხოვრობენ დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში.

ბავშვის მიმართ ძალადობა

ბავშვთა უფლებების მიმართულებით, 2019 წელს, ქვეყანაში საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა. საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელიც პირველი ერთიანი სამართლებრივი დოკუმენტია ბავშვთა უფლებების სფეროში. მიუხედავად ამისა, ბავშვთა მდგომარეობა არსებითად არ იცვლება. რესურსების მობილიზება კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. მაღალია ძალადობის მაჩვენებელი და სუსტია ბავშვთა დაცვის სახელმწიფო მექანიზმები.

მკვდრადშობადობის და ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის პრობლემა

მიუხედავად ჩვილ ბავშვთა მოკვდაობისა და მკვდრადშობადობის მაჩვენებლების კლებისა, ის ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებლებს მაინც აღემატება. კვლავ მაღალი რჩება ნეონატალური სიკვდილიანობის წილი, როგორც 5 წლამდე ასაკის, ასევე ჩვილ ბავშვთა სიკვდილობაში და შესაბამისად შეადგენს 58-60% და 70 %-ს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

ბოლო წლების განმავლობაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების ფარგლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. თუმცა, მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, არის ხარვეზები, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკის კუთხითაც. ამ ეტაპზე არ არის ჩამოყალიბებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ყველა სუბიექტის გადამზადების სისტემა (ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების). სადაც მსგავსი სისტემა საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებულია, არ არის ჩამოყალიბებული მათი საქმიანობის ხარისხის კონტროლის ეფექტური სისტემა. სისტემური ხარვეზები არსებობს ბავშვების პირველი კონტაქტისას მართლმსაჯულების სისტემასთან, ძირითადად პოლიციის განყოფილებებში. სახელმწიფოს ამ ეტაპზე არ აქვს ჩამოყალიბებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის შეფასების ისეთი სახის სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც მოახერხებდა რეფორმის შეფასებას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების შემუშავებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

სამინისტროს არა აქვს შემუშავებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ინკლუზიური განათლების გაძლიერების და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მიუხედავად იმისა, ბავშვთა ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტი შემუშავებულია და მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული ინსტრუმენტის პილოტირება, უცნობია დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგიული გეგმა და ხედვა, თუ როგორ და რა დროში მოხდება შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელიდან სოციალურ მოდელზე სრულად გადასვლა. მათ შორის ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა, ფუნქციონირების შეფასების სპეციალისტების მომზადება ქვეყნის მასშტაბით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები მულტიდისციპლინური გუნდების ფორმირება და მომზადება საქართველოს მასშტაბით, საჭიროებებზე ორიენტირებული მხარდაჭერის სის-

ტემების (მათ შორის სოციალური პაკეტი) და მომსახურებების დანერგვა და ა.შ. მართალია, უკანასკნელ წლებში გაიზარდა სოციალური სერვისებისა და მასში ჩართული ბავშვების რაოდენობა, მოცემულ ეტაპზე მაინც გამოწვევად რჩება სოციალურ მომსახურებაზე (დღის ცენტრი, ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა, ბავშვთა რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამა) ხელმისაწვდომობა. დაბალია მომსახურების მიწოდების ხარისხი და სუსტია მონიტორინგის მექანიზმი.

შესავალი

„ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა: რა არის მთავრობის საშუალო ქულა ბავშვზე ზრუნვის მიმართულებით 2019 წელს“ კოალიციის ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მიერ მომზადებული პირველი ანგარიშია.

კოალიცია შეიქმნა 2012 წელს და თავდაპირველად აერთიანებდა 22 არასამთავრობო ორგანიზაციას. 2016 წელს კოალიცია ახალი წესდების საფუძველზე ოფიციალურად დარეგისტრირდა არასამეწარმეო-არაკომერციულ იურიდიულ პირად. ის თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაფუძნებული, ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაერთიანებაა, რომლის მიზანია ქვეყანაში ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის არსებული სისტემის გამართვა. დღეისათვის ორგანიზაცია აერთიანებს 49 საზოგადოებრივ ორგანიზაციას. კოალიციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების ადვოკატირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ანგარიში აფასებს ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულ სახელმწიფო სამოქმედო გეგმებს, კანონმდებლობას, პოლიტიკასა და მომსახურებებს. მისი შექმნის მიზანია ბავშვზე ზრუნვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საქმიანობების ყოველწლიური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონიტორინგის განხორციელება. ის ასევე მოიცავს რეკომენდაციებს, რომელიც დაეხმარება მთავრობას ბავშვზე ორიენტირებული პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვაში.

2019 წლის ანგარიში მოიცავს 10 ძირითად თემას, რომელიც კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ გამოიყო, როგორც ყველაზე მწვავე ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ბავშვთა მიმართ ძალადობა, პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებები, ბავშვთა სიღარიბე და დეინსტიტუციონალიზაცია, ბავშვთა ინსტიტუციური ზრუნვის ტენდენციები, რეინტეგრაციის პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზები, მკვდრადშობადობისა და ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის პრობლემა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, სოციალური მუშაობა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში და ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი დანერგვის პოლიტიკა და პრაქტიკა.

კრიტერიუმები, რომლებიც თემების შერჩევის პროცესში გავითვალისწინეთ, იყო შემდეგი: თემის აქტუალობა, შერჩეულ თემებთან არსებული მეორადი წყაროების არსებობა და კოალიციაში შემავალი ორგანიზაციების ექსპერტიზა.

ანგარიშის მომზადების პროცესში მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის გამოყენებული იყო შემდეგი მიდგომები და წყაროები: ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის ბავშვის უფლებათა თავით განსაზღვრული ამოცანებისა და შესაბამისი საქმიანობების შეფასება, შერჩეულ თემებთან მიმართებით არსებული შესაბამისი კვლევები, ანგარიშები და პოლიტიკის დოკუმენტები, საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია.

ანგარიშის დახვეწისა და ფაქტების სიზუსტის გადამოწმების მიზნით, მომზადებული ანგარიში გაიგზავნა ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებასა და წინასწარ განსაზღვრულ ბავშვთა უფლებებზე მომუშავე გარე ექსპერტებს.

სოციალური მუშაობა ბავშვთა
კეთილდღეობის სისტემაში

სოციალური მუშაობის სფეროს გამოწვევები

ბავშვთა კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება სოციალური მუშაობის სფეროს განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები და სოციალური მუშაკების მძიმე შრომითი პირობები.



საქმეთა განაწილება

არ არსებობს:



რეგულაცია და შესაბამისად, სტატისტიკა სოციალური მუშაკის სამუშაოს დატვირთვის განსაზღვრასთან დაკავშირებით



პროფესიული ზედამხედველობა

სოციალური მუშაკების რაოდენობა



ამის ფონზე 2019 წელს მხოლოდ 17-ით გაიზარდა სოციალური მუშაკების რაოდენობა.



თუმცა, 2020 წლის თებერვალში 33 სოციალური მუშაკი გათავისუფლდა სააგენტოდან.



კვალიფიკაცია

2019 წელს სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკებიდან:



47 აკადემიურ განათლებას ფლობდა



106 სერთიფიცირებული იყო



86-ს პროფესიული ცოდნა არ ჰქონდა



პროექტი „გაითვალისწინე ბავშვების ხმა“ დაფინანსებულია ბულგარეთის განვითარების სააგენტოს მიერ

წყარო:

სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი №04/62297, 2019 წლის 29 ნოემბერი

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკების საქმიანობაში არსებული სისტემური პრობლემები ბოლოდროს სოციალური მუშაკების გაფიცვისა და პროტესტის ფონზე განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ამ პრობლემებზე ყურადღება გამახვილებულია სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში¹ და ისინი პირდაპირ კავშირშია ეფექტური სოციალური მუშაობის განხორციელებასთან, ვინაიდან გადატვირთული, არაკვალიფიციური, რესურსების გარეშე დარჩენილი სოციალური მუშაკი გაუმართავი ინფრასტრუქტურის პირობებში ვერც სათანადო მომსახურებას გაუწევს ზრუნვის სისტემაში მყოფ ბავშვებს და ვერც პრევენციულ ღონისძიებებს გაატარებს ეფექტიანად, რაც, საბოლოოდ, უარყოფითად აისახება ბავშვთა კეთილდღეობაზე.


მიუხედავად ამისა, პრობლემები უცვლელია 2019 წლის მდგომარეობითაც. კერძოდ, სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობაში მათი უფლება-მოვალეობების ჩამონათვალი 24 პუნქტისგან შედგება, რაც მოიცავს საქმიანობას სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან. თავად სოციალური მუშაკების რაოდენობა (უფროსი სოციალური მუშაკებისა და მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე უფროსი სოციალური მუშაკების ჩათვლით) მხოლოდ 17 ადამიანით გაიზარდა – 222-დან (2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით) 239-მდე (2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით).

რაც შეეხება მათ სამუშაო დატვირთვას, ანგარიშის მომზადების პერიოდისთვის სააგენტომ ვერ შეძლო 2019 წლის სტატისტიკის წარმოდგენა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ბოლოს აღრიცხული სტატისტიკაც არ არის გამართულად წარმოებული და არ გვაძლევს რეალურ სურათს, ვინაიდან ხდება წლის განმავლობაში წარმოებული შემთხვევების გადაფარვა, ასევე, არასრულად არის წარმოჩენილი თბილისში მომუშავე სოციალური მუშაკების ინდივიდუალური დატვირთვა. კადრების ხშირი ცვლა ხელს უშლის ზუსტი მონაცემების დათვლას, ვინაიდან სააგენტოში სტატისტიკის აღრიცხვის ერთიანი სისტემა არ არსებობს და სოციალური მუშაკები მოთხოვნისამებრ გზავნიან სააგენტოში მათი მიმდინარე საქმიანობის შესახებ რაოდენობრივ ინფორმაციას. აღნიშნული ბადებს ეჭვს, რომ სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკა არასრულია და თავად სააგენტოც ნათლად ვერ ხედავს საკუთარი დასაქმებულების დატვირთვას.

აქვე აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკი ძირითადად მუშაობს ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც ხანგრძლივად ითხოვს მის ჩართულობას (პრევენცია, მინდობით აღზრდა, რეინტეგრაცია, მცირე საოჯახო ტიპის სახლები, ბავშვზე/ოჯახში ძალადობა, მეურვეობა/მზრუნველობა/მხარდაჭერა და ა.შ.), შესაბამისად, ერთ შემთხვევაზე შესაძლოა, მთელი წლის ან წლების განმავლობაში მუშაობდეს, საჭიროებისამებრ.

სააგენტოში ამ ეტაპზე არ არსებობს კანონით გათვალისწინებული რეგულაცია სოციალური მუშაკის დატვირთვის განსაზღვრასთან დაკავშირებით, თუმცა, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის (2018) 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი, სოციალური მუშაკის სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, ავალდებულებს უწყებებს 2025 წლის 1 იანვრიდან განსაზღვრონ მიმდინარე საქმეთა მინიმალური ოდენობა 50 შემთხვევამდე.

პრობლემურია სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის საკითხიც. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად², 2019 წელს დასაქმებული 239 სოციალური მუშაკიდან მხოლოდ 47 ფლობდა აკადემიურ განათლებას სოციალური მუშაობის მიმართულებით, 106 კი სერტიფიცირებული სოციალური მუშაკია. მონაცემები ცხადყოფს, რომ ბავშვებთან მომუშავე 86 სოციალურ მუშაკს არ აქვს პროფესიული ცოდნა, რაც საფრთხის წინაშე აყენებს ისედაც ყველაზე მოწყვლად და დაუცველ ჯგუფებს. აქვე აღსანიშნავია, რომ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების შრომითი ანაზღაურება 850 ლარიდან 1200 ლარამდე გაიზარდა, განურჩევლად განათლებისა და სამუშაო სტაჟისა.



სოციალური მუშაკების წლიური დაბვირთვა საქართველოს დიდ ქალაქებში

¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018.
² სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის წერილი №04/62297, 2019 წლის 29 ნოემბერი

სოციალური მუშაობის განხორციელება შეუძლებელია ქვეყანაში აუცილებელი მომსახურებების გარეშე, რომელიც კვლავაც მწირია და ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციართა უწყვეტ და მყისიერ ჩართვას. ამ ფონზე გაუგებარია მთავრობის გადაწყვეტილება მომდევნო წლისთვის ზოგიერთი პრევენციული მომსახურების დაფინანსების შემცირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საკვებით უზრუნველყოფის პროგრამა 1 800 000 ლარიდან (2019 წელი)³ შემცირდა 1 300 000 ლარამდე (2020 წელი)⁴. ასევე, შემცირდა 6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი იმ ბავშვების კვოტა (ერთდროულად 661-დან 619 ბენეფიციარამდე), რომლებიც არ განეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის კატეგორიას და რომელთა ოჯახიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს გეგმა ყურადღებას ამახვილებს პრევენციული და ოჯახის მხარდაჭერი სახელმწიფო მექანიზმების გაძლიერებაზე, რომელიც მოიცავს სოციალურად დაუცველი/სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრების მომსახურებათა გაძლიერებას⁵.

2018 წელს მიღებული კანონი სოციალური მუშაობის შესახებ არა მხოლოდ აკონკრეტებს, რომ სოციალურ მუშაკს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი სოციალური მუშაობაში, არამედ უწყებებს ავალებს, უზრუნველყონ სოციალური მუშაკის პროფესიული სუპერვიზია⁶. დღესდღეობით ეს ნაწილი კვლავ გამოწვევად რჩება, რადგან სოციალური მუშაკებისთვის ამ ეტაპისთვის არ არის უზრუნველყოფილი პროფესიული ზედამხედველობა დასაქმების ადგილზე (სოციალური მომსახურების სააგენტოში), კვლავ ხდება ისეთი კადრების შემოდინება პროფესიაში, რომლებიც ზემოხსენებულ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ, ეს ყოველივე კი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მათი მუშაობის ხარისხზე.

2019 წლის თებერვალში სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურმა მუშაკები გაიფიცნენ კანონის რამდენიმე პუნქტის აღსრულების დაჩქარების მოთხოვნით, კერძოდ, ეს ეხებოდა სამუშაო პირობებს, სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდას და მომსახურებების განვითარებას. სოციალური მუშაკების გაფიცვა 8 დღეს გაგრძელდა და დასრულდა სამინისტროში CCM საბჭო შექმნისთანავე, რომლის მიზანიცაა ბავშვზე ზრუნვის სისტემის პოლიტიკის გამართვაში სახელმწიფოს მხარდაჭერა სხვადასხვა უწყების და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით. გაფიცვების შემდეგ საბჭო 2020 წლის 12 თებერვლის მონაცემებით მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა, თუმცა მის დაქვემდებარებაში მოქმედი 4 თემატური კომიტეტი (მათ შორის, ერთი სოციალური მუშაობის მიმართულებით) აგრძელებს მუშაობას თავისი სამოქმედო გეგმებით და უმზადებს რეკომენდაციებს საბჭოს ბავშვზე ზრუნვის სისტემის გაუმჯობესებისთვის.

თუმცა, 2019 წლის თებერვალში დაწყებული სისტემის რეორგანიზაცია ერთი წლის შემდეგ დასრულდა ბავშვზე ზრუნვის სამსახურის გადასვლით სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში და 33 სოციალური მუშაკის გათავისუფლებით, რის შედეგადაც სტრუქტურა ბევრად უფრო მწვავე გამოწვევის წინაშე დადგა, ვინაიდან საქმიანობების არეალი არ შემცირებულა, სოციალური მუშაკების რაოდენობა კი შემცირდა, ზოგ მუნიციპალიტეტში კი საერთოდ აღარ დარჩა. შედეგად, შესაცვლელია კომიტეტების ამჟამინდელი სამუშაო გეგმებიც.

უნდა აღინიშნოს 2019 წლის შემოდგომაზე ბავშვთა უფლებების კოდექსის დამტკიცებაც, რომლის ერთ-ერთი მიმართულება ბავშვზე ზრუნვის სისტემის გაუმჯობესებაა. კოდექსის მნიშვნელოვანი ნაწილი პრევენციულ მუშაობაზე აკეთებს აქცენტს და ითვალისწინებს მუნიციპალური სოციალური მუშაობის განვითარებას⁷.

³ საქართველოს მთავრობის დადგენილება №684 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2018 წლის 31 დეკემბერი.

⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №670 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2019 წლის 31 დეკემბერი.

⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება №182 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ, 2018 წლის 17 აპრილი (მიზანი 16.1, ამოცანა 16.1.5).

⁶ საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ, 2018 წლის 13 ივნისი.

⁷ ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019.

ამ მიზნით, მერიამ უკვე დაიწყო სამზადისი, თუმცა დააანონსა 150 არაკვალიფიციური კადრის აყვანა ღია კონკურსის გარეშე და მათი სერტიფიცირება. ვინაიდან მათ დაევალებათ პრევენციული თუ სხვა სახის მუშაობა, ეს პროცესი საგანგაშოა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტებში მსგავსი საქმიანობის ინსტიტუციური გამოცდილება არ არსებობს.

რეკომენდაციები

- სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდა დატვირთვისა და საჭიროების მიხედვით;
- სოციალური მუშაკების საქმიანობის დიფერენცირება;
- სოციალური მუშაკების დატვირთვის სრულყოფილი და სანდო სტატისტიკის წარმოება;
- სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება დაუყოვნებლივ და უწყვეტი განათლების სისტემის უზრუნველყოფა;
- სოციალური მუშაკების საქმიანობის ეფექტიანობის ხელშესაწყობად საჭიროებების კვლევა და მომსახურებების შესაბამისად დაგეგმვა-გაძლიერება;
- ბავშვზე ზრუნვის სისტემის გამართვა _ რეორგანიზაციის ფარგლებში ტრანზიციის გეგმის შემუშავება;
- სოციალური მუშაობის კანონისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა;
- ნიადაგის მომზადება კოდექსის იმ მუხლების აღსრულებისთვის, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ბავშვთან მუშაობის დაწყებას ახლებური სისტემით.

პრევენციული და ოჯახის
მხარდამჭერი მომსახურებები

ბავშვთა დაცვის სისტემის უკანასხო გამოწვევები

ბავშვთა სიღარიბე

ბავშვების
22%

საარსებო მინიმუმის ზღვარს

ქვემოთ ცხოვრობს.

ქვეყანაში მწვავედ დგას

ბავშვთა სიღარიბის, ბავშვთა მიმართ აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებისა და საბავშვო წიგნებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა.



ყოველი მე-5 ბავშვი ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობს, რომლის წევრთა მინიმალური მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელია.

ბავშვის აღზრდა

ბავშვების

69%-ის მიმართ

გამოიყენეს აღზრდის რომელიმე ძალადობრივი მეთოდი.



66%-ს გამოუცლია ფსიქოლოგიური აგრესია.



31%-ს გამოუცლია ფიზიკური დასჯა (მკაცრი და სხვა ტიპის).

5%-ს მკაცრი ფიზიკური დასჯა გამოუცლია:

ხელის დარტყმა სახეზე და თავზე, ცემა მთელი ძალით, გამუდმებით.

ხელმისაწვდომობა საბავშვო წიგნებზე



3 ან მეტი წიგნი აქვთ სახლში:



სოფლად მცხოვრები ბავშვების **66%-ს**



ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ბავშვების **55%-ს**



ეთნიკურად ამერბაიჯანელი ბავშვების **15%-ს**



ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, საქართველოს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, კვლავაც გამოწვევად რჩება პრევენცია და ოჯახების გაძლიერება. ერთი მხრივ, ბავშვთა დიდი ზომის სააღმზრდელო დაწესებულებების მნიშვნელოვნად შემცირებამ შესაძლებელი გახადა სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება ანდა ალტერნატიულ (ოჯახთან მიახლოებულ) ზრუნვის ფორმებში განთავსება, რაც უდავოდ წარმატებად უნდა შეფასდეს. მეორე მხრივ, აღნიშნულმა კიდე უფრო გააძლიერა პრევენციული და ოჯახის მხარდაჭერი მომსახურებების განვითარების მნიშვნელოვნება, რაც ამ დრომდე უდიდეს გამოწვევად რჩება. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ კვლევებით დასტურდება ბავშვთა სიღარიბის ზრდა და აღზრდის ძალადობრივი მეთოდების პრაქტიკის გამოყენების მაღალი მაჩვენებელი. ხოლო ოჯახის მხარდაჭერი ისეთი მომსახურებები, რომლებიც მოიაზრებს მშობელთა განათლებასა და მათ ეკონომიკურ გაძლიერებას არ არის ხელმისაწვდომი. ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის მიმართულებით სახელმწიფო კვლავაც რეაქტიული პოლიტიკის გამტარად გვევლინება, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

გაეროს ბავშვთა ფონდის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევისა (2017) და საქსტატის მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (2018) შედეგების თანახმად, წინამდებარე თავისთვის აქტუალურ კვლევის ძირითად მიგნებებს წარმოადგენს შემდეგი:

ბავშვთა სიღარიბე: ბავშვების 22.1% საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს ანუ ყოველი მეხუთე ბავშვი ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობს, რომლის წევრთა მინიმალური მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელია. ბავშვიან შინამეურნეობაში სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალია და ის იზრდება ოჯახში ბავშვთა რაოდენობის ზრდასთან ერთად.⁸

ბავშვის აღზრდა: ბავშვების 69%-ის მიმართ გამოიყენეს აღზრდის რომელიმე ძალადობრივი მეთოდი. ბავშვების 31%-ს გამოუცდია ფიზიკური დასჯა (მკაცრი და სხვა ტიპის). ბავშვების 5%-ს კი – მკაცრი ფიზიკური დასჯა, როგორცაა ხელის დარტყმა სახეზე, თავზე ან ყურებზე დარტყმა და ცემა მთელი ძალით, გამუდმებით. ბავშვთა 66%-მა განიცადა ფსიქოლოგიური აგრესია⁹

მშობელთა ჩართულობა: ბავშვების პროცენტული წილი, რომელთაც 3 ან მეტი საკითხავი წიგნი აქვთ სახლში, დაბალია სოფლად (66%), ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ბავშვებისათვის (54.8%) და განსაკუთრებით დაბალია ეთნიკურად აზერბაიჯანელი ბავშვებისთვის (14.5%). შინამეურნეობის ზრდასრულ წევრს, ბავშვების 33%-ის შემთხვევაში, არ მიუღიათ მოსწავლის აკადემიური შეფასების ბარათი ბოლო 1 წლის განმავლობაში.¹⁰

ოჯახის მხარდაჭერის მიმართულებით არსებული პოლიტიკა, პრაქტიკა და პროგრამები

ზემოაღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ მწირია **ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეთავაზებული მომსახურებები**, რომლითაც შეიძლება ოჯახებმა ისარგებლონ. ცენტრალურ დონეზე ადმინისტრირებადი მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გარდა, რომლის გაცემის საფუძველსაც წარმოადგენს ოჯახის სოციო-ეკონომიკური მაჩვენებელი - სარეიტინგო ქულა, 2019 წლის სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამებიდან, მხოლოდ შემდეგი შეგვიძლია მივიჩნიოთ პასუხად პრევენციისა და ოჯახის მხარდაჭერის კუთხით არსებულ გამოწვევებზე:

- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა, რომლის გაცხადებული ამოცანაა სიღატაკში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება, ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება, ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდის ხელშეწყობა და რომელიც მოიცავს საკვები პროდუქტებით, მათ შორის ხელოვნური კვების პროდუქტებით და საყოფაცხოვრებო საქონლით უზრუნველყოფას.
- დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომლის გაცხადებულ ამოცანასაც წარმოადგენს ოჯახების მხარდაჭერა, მიტოვების პრევენცია და სოციალური ინკლუზია და რომელიც,

⁸ გაეროს ბავშვთა ფონდის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა (2017).

⁹ საქსტატის მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (2018)

¹⁰ საქსტატის მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (2018)

მიტოვების რისკის წინაშე/სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ 14 მუნიციპალიტეტში საქართველოს 69 მუნიციპალიტეტიდან, სულ 661 ბავშვისთვის.

ამასთან ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ არც ერთი ეს პროგრამა/ქვეპროგრამა არ ითვალისწინებს მშობელთა განათლების, პოზიტიური მშობლობის უნარების გაუმჯობესებისა და ეკონომიკური გაძლიერების კომპონენტს, რაც ოჯახის მხარდამჭერის მომსახურებების საკვანძო ასპექტია. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ამ პროგრამათა ეფექტიანობა და ის, თუ როგორ მიიღწევა პროგრამით დასახული მიზნები.

რაც შეეხება მუნიციპალურ დონეზე ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების განვითარებას, ⁵¹ მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის (2019) შესწავლით დგინდება, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს ბავშვებსა და მათ ოჯახებზე მიმართული საშუალოდ 5 სოციალური პროგრამა. თუმცა, ამ პროგრამების შინაარსი რეალურად არ პასუხობს ბავშვის ოჯახთან დაშორების პრევენციას და ვერ ამცირებს რისკებს ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით, რადგან პროგრამების უმეტესობა ერთჯერადი ან ყოველთვიური ფულადი სოციალურ გასაცემლის სახისაა, ისიც მინიმალური ოდენობით. 5 ქალაქის მუნიციპალიტეტის შესწავლილი 26 პროგრამიდან მხოლოდ 4 პროგრამა შეიძლება მივიჩნიოთ ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების გარკვეულ ფორმად, რომელებიც ძირითადად ფინანსური სუბსიდია/თანადაფინანსება პროგრამის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის. თავისთავად, მხოლოდ ფულადი სახის გასაცემელი ვერ უზრუნველყოფს მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების დაკმაყოფილებას და მათ წინაშე არსებული კომპლექსური გამოწვევების დაძლევისას.

სამთავრობო სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება - ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის (2018-2020) ბავშვის უფლებათა თავის მიხედვით, 16.1. მიზნად განსაზღვრული იყო პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერება. შესასრულებელ ვალდებულებათა შორის იყო: 16.1.1. მოწყვლადობის კონცეფციის შემუშავება; 16.1.2. თემის მუშაკის ინსტიტუტის ჩამოყალიბება; 16.1.3. მოწყვლადი ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახებისთვის შესაბამის (ფულად და არაფულად) მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში (2018) მოცემულია მხოლოდ აქტივობა 16.1.1.1. მოწყვლადობის კონცეფციის შემუშავება და იგი შეფასებულია, როგორც უმეტესწილად შესრულებული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თავად აღნიშნული პუნქტი შესრულების სტატუსის თვალსაზრისით სადაოა, რადგან განმარტებაში მითითებულია, რომ მომზადებულია „განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის და მათი ფორმალურ განათლებაში ჩართვის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის პროექტი, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს მოწყვლადობის კონცეფციას და შეიძლება მინიმალურად ფარავდეს მსგავსი დოკუმენტის რომელიმე კომპონენტს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შესრულების ანგარიშში ვერ მოხვდა ქვეთავით გათვალისწინებული ისეთი ამოცანები, როგორცაა თემის სოციალური მუშაკის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახებისათვის შესაბამის (ფულად და არაფულად) მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

კვლევების შედეგებისა და არსებული მომსახურებების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისეთ გამოწვევებს, როგორცაა ბავშვთა სიღარიბე, აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენება და მშობელთა ნაკლები ჩართულობა ბავშვის აღზრდის საკითხებში, არსებული სახელმწიფო პროგრამები ვერ პასუხობს სათანადოდ როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. ქვეყანაში არ მოიპოვება ოჯახის მხარდამჭერი პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს ანდა სრულად აფინანსებს და რომელიც მოწყვლადი ოჯახების გაძლიერებისათვის საჭირო ყველა საკვანძო ასპექტს მოიცავს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსით, რომელიც მიღებულ იქნა 2019 წლის 20 სექტემბერს, ცალკე მუხლი ეთმობა (მუხლი 28) ოჯახის მხარდამჭერ მომსახურებებს, რომელიც განსაზღვრავს ზოგად ჩარჩოს ამ მიმართულებით. თავის მხრივ, ეს ჩარჩო მოიცავს პოზიტიური მშობლობის, მშობელთა მხარდაჭერისა და დამხმარე სოციალური სერვისების შესახებ ჩანაწერს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის პროგრამებს შეიმუშავებს და ახორციელებს უწყებათაშორისი თანამშრომლობით, მე-7 პუნქტის

¹¹ თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი და ახალციხე.

თანახმად კი, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე, შესაბამისად, ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოხდება კანონმდებლობის აღსრულება და რა შინაარსის პროგრამები განვითარდება ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების სიმწირე ხელს უშლის „ჭიმურის დარაჯობის“ პრინციპების დაცვასა და რეინტეგრაციის პროგრამების ეფექტურობას, რომლებიც ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის სისტემის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ასპექტებია.

რეკომენდაციები

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ოჯახების მხარდაჭერის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განვითარება, როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე;
- ოჯახების მოწყვლადობის შეფასების კონცეფციისა და ინსტრუმენტების განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფო მზრუნველობაში მოხვედრის, ასევე ზიანის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების დროულ გამოვლენას;
- თემზე დაფუძნებული ოჯახის მხარდაჭერი პროგრამების კონცეფციის განვითარება და პროგრამის მოდელის პილოტირება მუნიციპალურ დონეზე; ოჯახის მხარდაჭერი პროგრამები მნიშვნელოვანია მოიცავდეს შემდეგ ძირითად კომპონენტებს: მშობელთა/მზრუნველთა განათლება, ეკონომიკური გაძლიერება, ოჯახების ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული ფსიქო-სოციალური თუ სხვა სახის მხარდაჭერა.
- ბავშვთა მეგობრული ცენტრების/დღის ცენტრების მომსახურების განვითარება მუნიციპალურ დონეზე, რომელიც მიზნად ისახავს როგორც დღის განმავლობაში ბავშვზე ზრუნვაში მშობლების მხარდაჭერას, ასევე ბავშვებში სოციალური და კოგნიტური უნარების განვითარებას.
- მუნიციპალურ დონეზე სოციალური მუშაობის ინსტიტუციური განვითარება და შემთხვევის მართვის პრაქტიკის გაძლიერება, რაც გულისხმობს კარგი პრაქტიკის ხელშეწყობ ორგანიზაციულ ჩარჩოს და პოლიტიკას, ადეკვატურ სამუშაო დატვირთვასა და პირობებს, ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას;
- მუნიციპალურ დონეზე სექტორთა და უწყებათშორისი კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესება პრევენციის, ადრეული ინტერვენციისა და ოჯახის მხარდაჭერის გაძლიერების მიმართულა-


რამდენად ეფექტურია ბავშვების ბიოლოგიურ მშობლებთან დაბრუნების პროგრამა?

ბავშვის რეინტეგრაციაზე*

მუშაობა უნდა იწყებოდეს მისი სპეციალიზებულ დაწესებულებაში** განთავსების დღიდან.



სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა, საშუალოდ, **4-ჯერ აჭარბებს** რეინტეგრირებული ბავშვებისას.




*ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებთან დაბრუნება

**მცირე საოჯახო ტიპის სახლი, დიდი ზომის ბავშვთა სახლი, მინდობით აღზრდა და ა.შ.

სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს

ოჯახებში იმ პრობლემების აღმოფხვრას, რის გამოც ბავშვები განთავსდნენ სახელმწიფო მზრუნველობაში.



საქართველომ 2000 წლიდან დაიწყო ბავშვზე ზრუნვის სისტემის ტრანსფორმაცია, რომელიც ეფუძნებოდა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს და რომლის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენდა სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას. ნიშანდობლივი იყო ის გარემოებაც, რომ მოცემული კონტინგენტის აბსოლუტური უმრავლესობა იყო ე.წ. „სოციალური ობოლი“, ანუ მათ ჰყავდათ მშობელი/მშობლები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, სიღარიბის გამო დროებით სახელმწიფოს ანდობდნენ შვილების აღზრდას. ამიტომ, რეინტეგრაციის პროგრამას საუკეთესო ალტერნატივა უნდა შეექმნა რეზიდენტულ ზრუნვაში მყოფი აღსაზრდელებისათვის. 2004 წელს, ამ პროცესმა მიიღო რეფორმის სახე, რომლის მთავარი მიზანი გახდა ბავშვთა სახლების ოპტიმიზაცია და ადგილობრივ თემებში არსებული რესურსების გაძლიერებით ბავშვების დეინსტიტუციონალიზაცია, უპირატესად, ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების პროცესის სტიმულირების გზით. 2011 წელს, როდესაც ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა ბავშვთა სახლი გაუქმდა, მითითებულ დაწესებულებათა კონტინგენტის ნაწილი (ბავშვების 23%¹²), რეინტეგრაციის პროგრამის ხაზით დაუბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახებს. ამ პროცესის სტიმულირებას ხელი შეუწყო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა პროგრამებმა, რომელთა დახმარებითაც ოჯახებმა შეიძინეს საყოფაცხოვრებო ნივთები¹³ და გაუმჯობესდა მათი საცხოვრებელი პირობები. მას შემდეგ, ქვეყანამ თავად ვერ შექმნა ამგვარი მხარდამჭერი სისტემა, რის გამოც, რეინტეგრაციის შემთხვევათა სტატისტიკა ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებების შემთხვევათა სტატისტიკასთან შედარებით¹⁴ მკვეთრად დაბალია.

ცხრილში წარმოდგენილ მაჩვენებლებში, არ არის გამოკვეთილი წლების მიხედვით, რეინტეგრაციის ახალი შემთხვევების წილი. სავარაუდოა, რომ სტატისტიკაში, ბევრი ის შემთხვევაა, რომელიც განხორციელდა 2011-2013 წლებში¹⁵.

წელი	რეინტეგრაცია	მინდობით აღზრდა	მცირე საოჯახო სახლი
2019	470	1452	325
2018	448	1463	457
2017	446	1356	318

ოჯახის მხარდამჭერი სისტემის აუცილებლობაზე მიუთითებს გაეროს გენერალური ასამბლეის N64/142 (2010წ.) რეზოლუცია, რომელიც ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ და გააძლიერონ ბიოლოგიური ოჯახების სააღმზრდელო უნარები¹⁶ და სოციალური სერვისები მშობლებისთვის.¹⁷ ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბავშვის უფლებათა კომიტეტის (CRC) „ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული სერვისების მინიმალური რეგიონული სტანდარტების“ თანახმად, ბავშვებისთვის მზრუნველობის პრიორიტეტულ ფორმას მათი ბიოლოგიურ ოჯახში აღზრდა წარმოადგენს¹⁸. ქვეყნის შიდა სამართლებრივი აქტებიც მიუთითებს, რომ „ბავშვის რეინტეგრაციაზე მუშაობა იწყება მისი სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსების დღიდან“ (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 20 მარტის №01-20/ზრმანება).

¹² UNICEF/USAID ფინანსური მხარდაჭერით Save the Children International-ის პროექტის „Strengthening Child Care Services and Systems“ მონაცემებით: 23% დაბრუნდა საკუთარ ოჯახში, 45% განთავსდა მინდობით აღზრდის პროგრამაში, ხოლო 30% მცირე საოჯახო სახლებში. 2% - რჩებოდა ინსტიტუციაში.

¹³ UNICEF/USAID ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „Strengthening Child Care Services and Systems“ ფარგლებში.

¹⁴ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია № 04/43272 (14 /08/2019).

¹⁵ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხებოდა რეინტეგრაციის პროგრამის განხორციელების კომპონენტებს, გამოთხოვილი იქნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან, თუმცა მითითებული უწყებიდან არ მიგვიღია პასუხი, შესაბამისად, არ არის ასახული მოცემულ ქვეთავში.

¹⁶ General Assembly Resolution, Guidelines for the Alternative Care of Children, Doc. A/RES/64/142 (24 February 2010).

¹⁷ General Assembly Resolution, Guidelines for the Alternative Care of Children, Doc. A/RES/64/142 (24 February 2010).

¹⁸ UNICEF, „Regional Minimum Standards for Alternative Care Services for Children“, Guiding Principles (2012):para.2. http://www.unicef.org/easterncaribbean/ECAO_Regional_Minimum_Standards_for_Alternative_Care_Services_for_Children.pdf. გვ.15

კვლევის თანახმად, სოციალური მუშაკები არ ამზადებენ ბიოლოგიურ ოჯახებს რეინტეგრაციის პროცესისთვის. სოციალური მუშაკები თავად აღნიშნავენ, რომ „ბავშვების რეინტეგრაცია, ძირითადად, მშობლის ინიციატივით ხდება. იშვიათია შემთხვევები, როდესაც სოციალური მუშაკის მიერ ხდება ოჯახის გაძლიერებისკენ მიმართული ინტერვენციის გეგმის შემუშავება ბავშვის რეინტეგრაციისათვის“.¹⁹ ეს გარემოება ცალსახად მიუთითებს, რომ რეინტეგრაციის გადაწყვეტილება არ არის მყარი და ობიექტური გარემოებებით განპირობებული, რამდენადაც, საფუძვლიანად არ არის შეფასებული ის გარემო-პირობები, რომელშიც ბავშვს უწევს დაბრუნება. ასევე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საბჭოებზე, რეინტეგრაციის პერსპექტივის განსაზღვრისას, სოციალური მუშაკები არ აფასებენ ისეთ რისკებს, რომელთაც გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გამოიწვიონ ოჯახში ახალი კრიზისების გაჩენა, რაც საფრთხეს შეუქმნის ბავშვის ცხოვრებას და მისი განვითარების წინაპირობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ ეტაპზე, ოჯახები, ძირითადად, ბავშვის ოჯახში დაბრუნების მოტივაციის ხარისხითა და საკუთარი რესურსების მობილიზებით ცდილობენ იმ მიზეზების აღმოფხვრას (საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგება, თავშესაფრის მოძიება, დასაქმება და სხვა), რომლის გამოც ბავშვი სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში განთავსდა. შემდეგ კი მიმართავენ უფლებამოსილ ორგანოს რეინტეგრაციის პროცესის ინიცირებისათვის. ფაქტიურად, პროცესი სრულად არის დამოკიდებული „დანიტერესებული მხარის“ და ბავშვის თანხმედრ სურვილზე განხორციელდეს რეინტეგრაცია. ამ მიმართულებით არ არის ჩამოყალიბებული სისტემური მიდგომა, რაც განაპირობებს ოჯახების გაძლიერებაზე ორიენტირებული პრაქტიკების ნაკლებობას და ასევე, ბავშვების სრულწლოვან ასაკამდე სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში დარჩენას.

ყველა ეს გარემოება მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დღეისათვის, რეინტეგრაციის პროგრამა, უმეტეს შემთხვევებში იფარგლება ბავშვისთვის/ოჯახისთვის რეინტეგრაციისა და სხვა, კანონმდებლობით განსაზღვრული მონეტარული დახმარების გაცემით. ამ პროცესში არ იკვეთება სოციალური მუშაობის მრავალკომპონენტური ინტერვენციები, რაც მიმართული იქნება რეინტეგრირებული ბავშვის და მისი ოჯახის უფლებების დაცვისა და სოციალური ფუნქციონირების ამაღლებისკენ. დღეისათვის, სახელმწიფო სოციალური პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები უმეტესად ვერ პასუხობს ოჯახების სპეციფიკურ საჭიროებებს ან გვიანდება/არ ხდება მათი პროგრამით გათვალისწინებულ ცალკეულ მომსახურებებში ჩართვა.²⁰

სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს ხელი შეუწყოს და დაეხმაროს მშობელს დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში. მიუხედავად მოცემული ჩანაწერისა, კვლევამ გამოავლინა, რომ რეინტეგრაციაში მყოფი ოჯახების უმრავლესობა თავს ძლივს ართმევს სიდარობეს, ანუ მათი თვითური შემოსავლები საარსებო მინიმუმს (დაახლოებით 300 ლარი თვეში საშუალო ზომის, ანუ ოთხსულიანი ოჯახისთვის) ბევრად არ აღემატება. შემოსავალს, ძირითადად შეადგენს რეინტეგრაციის შემწეობის და მიზნობრივი სოციალური დახმარებით განსაზღვრული თანხები. ამ დახმარებების ჯამური ოდენობა ძლივს ჰყოფნის ქირას, გადასახადებს და კვებას.²¹ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ოჯახებს უჭირთ რეინტეგრირებული ბავშვების ისეთი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, როგორცაა: კვება, ჯანმრთელობა, უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო.

როგორც ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლი მიუთითებს, „სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი ყველა ტიპის ძალადობისა და უგულუბეულობისაგან“. „რეინტეგრაციაში ჩართული ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებების“ კვლევაში მითითებულია, რომ ბავშვების სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მოხვედრის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ოჯახში ძალადობა,²² შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ

¹⁹ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი; „რეინტეგრაციაში ჩართული ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებები“ (ანალიტიკური ანგარიში). გვ. 35.

²⁰ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი; „რეინტეგრაციაში ჩართული ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებები“ (ანალიტიკური ანგარიში). გვ. 19.

²¹ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი; „რეინტეგრაციაში ჩართული ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებები“ (ანალიტიკური ანგარიში). გვ.39.

²² ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი. „რეინტეგრაციაში ჩართული ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებები“ (ანალიტიკური ანგარიში).

სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მშობლებისთვის საგანმანათლებლო ტრენინგებს, რომელიც დაეხმარება მათ მშობლობის უნარების განვითარებაში, და ასევე არ ხდება პოზიტიური აღზრდის მეთოდებისა და კრიზისების დაძლევის სტრატეგიების სწავლება, სავარაუდოა, რომ რეინტეგრირებული ბავშვები კვლავ გახდნენ ძალადობრივი მოპყრობის მსხვერპლნი.

რეკომენდაციები

- სახელმწიფომ უზრუნველყოს რეინტეგრაციის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ასახავს რეინტეგრაციის პროგრამის განვითარების ხედვებს;
- სახელმწიფომ, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკით მოახდინოს რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართული ოჯახებისთვის მხარდამჭერი სისტემების (ფულადი/არაფულადი) განვითარება და არსებული სისტემების ხარისხის შეფასება;
- ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მათ მიერ ადმინისტრირებული სოციალური/ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების უპირატეს სამიზნე ჯგუფად განსაზღვრონ რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახები/ბავშვები;
- მშობლის/სოციალური მუშაკის მიერ ინიცირებული რეინტეგრაციის შემთხვევის მზადება, მოიცავდეს ინტენსიურ მუშაობას ბავშვთან, ოჯახთან, ოჯახის დამხმარე ქსელთან, რაც დეტალურად იქნება გაწერილი, როგორც ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმაში, ასევე, ე.წ. „ოჯახის რეინტეგრაციისთვის მზადების ინტერვენციის გეგმაში“.

ხარისხიანი ადრეული და სკოლაგდელი
განათლების დანერგვის პოლიტიკა და პრაქტიკა



სკოლამდელი განათლების მისაწვდომობა და ხარისხი საქართველოში

თუმცა,




არ ხდება ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური ოდენობის წესის დაცვა.


სკოლამდელ დაწესებულებებში 3-5 წლის ბავშვთა ჩართულობა ბოლო წლებში გაიზარდა.



დირექტორების 50% არ ფლობს ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებულ განათლებას.



57 მუნიციპალიტეტში აღმზრდელების 44% არაკვალიფიციურია.



27 მუნიციპალიტეტის დაწესებულებების მხოლოდ ნახევარში არის გამოყოფილი ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პრობლემატურია სახელმწიფო ენის სწავლება, ბილინგვური/მულტილინგვური პედაგოგების მომზადება და შესაბამისი სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.



არ მომზადებულა ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით საგანმანათლებლო რესურსების სია.

არ არის დადგენილი სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის წესი.



ქვეყანაში არ არის დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობების მოწყობის შესახებ.



სკოლამდელ დაწესებულებებში 3-5 წლის ბავშვთა ჩართულობა ბოლო წლების მანძილზე გაიზარდა და თუ 2011-2012 წლებში 46%-ს²³ შეადგენდა, ბოლო მონაცემებით იმ 36-59 თვის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებაში დადიან, 78%-ია²⁴. თუმცა, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ბავშვების სხვადასხვა მახასიათებლების (დასახლების ტიპი, რეგიონები, სიღარიბის დონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება) მიხედვით. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით 3-5 წლის ბავშვების მთლიანი რაოდენობის 8.9% სკოლამდელი განათლების მომსახურებით იმით არ სარგებლობდა, რომ მათ საცხოვრებლის სიახლოვეს (სოფელში ან რაიონში) სკოლამდელი დაწესებულებები არ იყო²⁵.

2016 წელს დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების (ასაგ) შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამტკიცებულია ეროვნული სტანდარტები²⁶, ტექნიკური რეგლამენტები²⁷ და სხვა²⁸ რამდენიმე ქვენორმატიული დოკუმენტი. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მიღწევები (კანონისა და სტანდარტების დამტკიცება) მნიშვნელოვანია, ადრეული და სკოლამდელი განათლების პოლიტიკის განსაზღვრისათვის, თუმცა ამ სტანდარტების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად ვალდებულებების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით და შესაბამისი მიღწევების მისაღებად ჯეროვანი ნაბიჯები არ გადადგმულა.

აქვე აღსანიშნავია, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის 2018 წელს ჩატარებული კვლევის შესაბამისად, სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის დიდ ნაწილს არ აქვს კვალიფიკაცია, ან აქვს ისეთი კვალიფიკაცია, რომელიც ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებას არ უკავშირდება. 57 მუნიციპალიტეტიდან მოპოვებული მონაცემების თანახმად, აღზრდელთა 44% არაკვალიფიციურია. ამასთან, დირექტორთა 50% არ ფლობს ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებულ განათლებას. პერსონალის დაბალი კომპეტენცია და კვალიფიკაცია, აგრეთვე შესაბამისი სპეციალიზებული დახმარე პერსონალის დეფიციტი დიდ გამოწვევას ქმნის და ვერ უზრუნველყოფს სკოლამდელ დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვას²⁹.

სკოლამდელი განათლების სფეროში დასაქმებული პერსონალისათვის შეიქმნა პროფესიული განვითარების მომზადებისა (pre-service) და გადამზადების (in-service) პროგრამები. ამ მხრივ, დიდი ხანია შექმნილი და დამტკიცებულია ადრეული განათლების დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საფუძველს უმაღლესი პროგრამების შექმნისათვის. მოცემულ ეტაპზე შექმნილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პროექტები საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტის მიერ, რომელიც გადის აკრედიტაცია/ავტორიზაციის პროცესს. აღსანიშნავია, რომ აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული ახლახან დამტკიცდა³⁰. 2016 წლიდან დღემდე არ მომხდარა აღნიშნული ტრენინგ-მოდულის შესაბამისად მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა მათ მიერ სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალის

²³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2011, შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა;
²⁴ გაეროს ბავშვთა ფონდი, 2019, 2018 წელს ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) შედეგები, https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/202001/Georgia%20MICS%202018SFR_English.pdf
²⁵ გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017, მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, მოკლე მიმოხილვა: <https://www.unicef.org/georgia/media/1221/file/WMS%20GEO%202017.pdf>
²⁶ აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404>
 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798>
²⁷ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების ტექნიკური რეგლამენტი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837694?publication=0>
 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების ტექნიკური რეგლამენტი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838370?publication=0>
²⁸ აღზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული <https://www.matsne.gov.ge/document/view/4873654?publication=0&fbclid=IwAR1HnGKnoen5hvyHbIKRAs0gL23P5LZN-QtJGtPjccp6GTtBa0ppurdPp-sg>
²⁹ საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა, 2018: https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-01/Pre-school_quality_study-ge-2.pdf
³⁰ 01.07.2020.

პროფესიული განვითარების მიზნით. ამან კი, თავის მხრივ, შეაფერხა მუნიციპალიტეტების ვალდებულების შესრულება, კერძოდ, აღმზრდელ-პედაგოგთა³¹ და საჯარო სკოლამდელი დაწესებულებების დარექტორთა გადამზადება³².

ასაგ კანონის³³ შესაბამისად, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 1 ოქტომბრამდე მოახდინა „ა-ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ხუთივე ნორმატიული აქტის დამტკიცება, თუმცა ამ დრომდე არ ხდება აღნიშნული ნორმატიული აქტების პრაქტიკაში დანერგვა. საგულისხმოა, რომ დედაქალაქს დამტკიცებული აქვს მხოლოდ დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქვევისა და ეთიკის ნორმები.

კანონის დამტკიცებიდან დღემდე სხვადასხვა ცენტრალური და ადგილობრივი უწყებებისათვის განსაზღვრული რიგი ვალდებულებები ჯერ ისევ შეუსრულებელია, კერძოდ:

1. საქართველოს მთავრობის მიერ არ არის დადგენილი სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის წესი. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი ვადითაა შეყოვნებული დაწესებულებების, როგორც დამოუკიდებელ ავტორიზებულ ააიპ-ებად ფუნქციონირების დაწყება, რასაც კანონი განსაზღვრავს (კანონის მიხედვით ავტორიზაცია ეხება, როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლამდელ დაწესებულებებს). აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას სკოლამდელი დაწესებულებების მართვის სხვადასხვა ასპექტებში (პერსონალის შერჩევა, დაქირავება და სამსახურიდან გაშვება, შესყიდვები, საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა) უშუალო მონაწილეობა. მოცემულ ეტაპზე არ ხორციელდება არანაირი პროცესი, რომელიც აღნიშნულს შეუწყობდა ხელს;
2. საქართველოს მთავრობას შესაბამისი ნორმატიული აქტით არ განუსაზღვრავს აღმზრდელ-პედაგოგის შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა;
3. საქართველოს მთავრობას არ აქვს დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ;
4. საქართველოს მთავრობას არ აქვს დამტკიცებული მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებულებათა რეესტრის წარმოების წესი და ამ რეესტრში შესატანი მონაცემებისა და ინდიკატორების ჩამონათვალი.
5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ არ მომზადებულა ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით საგანმანათლებლო რესურსების სია და მეთოდოლოგიურ რესურსები და არ მომხდარა ამ რესურსების მუნიციპალიტეტებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
6. სკოლამდელ დაწესებულებებში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფების დაკომპლექტებისას ჯერ-ჯერობით ასაგ კანონის შესაბამისად არ იცავენ ბავშვთა მაქსიმალურ ოდენობებს³⁴. დიდ ქალაქებში ჯგუფებში ბავშვების რაოდენობა ძალიან დიდია. მაგალითად, თბილისის სკოლამდელი დაწესებულებების ჯგუფებში ბავშვთა საშუალო რაოდენობა 39-ია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია³⁵. ეს კი თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს საგანმანათლებლო და განმავითარებელ პროცესებზე.

პრობლემურია სკოლამდელ დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა. ბენჩმარკინგში³⁶ ჩართული 700 სკოლამდელი დაწესებულებიდან თითქმის ყველა იყენებს პროგრამას (სასწავლო-სააღმზრდელ პროგრამა თბილისის ბაღებისთვის), რომელიც შეიძლება ზუსტად ვერ ასახავდეს ადგილობრივ კონტექსტს და რესურსებს. შესწავლილი დაწესებულებების 23%-ში აღმზრდელები ზედმიწევნით მიყვებიან პროგრამას და მასში მოცემულ აქტივობებს ბავშვების თავისებურებებზე მორგების გარეშე³⁷.

³¹ ასაგ კანონის მუხლი 10, პუნქტი 3ბ.
³² ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.
³³ ასაგ კანონი - მუხლი 28, პუნქტი 4, 2016.
³⁴ ასაგ კანონი მუხლი 22.3
³⁵ გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018, საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა: <https://uni.cf/2RsNs6D>
³⁶ გადავარჩინოთ ბავშვების პროექტის „საქართველოში სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა სოციალური ანგარიშვალდებულების გზით“ ფარგლებში ჩატარებული ბენჩმარკინგის შედეგები, „გადავარჩინოთ ბავშვები“, „კვიკიტას გეორგიკა“, 2020.
³⁷ გადავარჩინოთ ბავშვების პროექტის „საქართველოში სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა სოციალური ანგარიშვალდებულების გზით“ ფარგლებში ჩატარებული ბენჩმარკინგის შედეგები, „გადავარჩინოთ ბავშვები“, „კვიკიტას გეორგიკა“, 2020.

ზოგიერთ დაწესებულებაში გვხვდება გენდერული სტერეოტიპების გაძლიერების შემთხვევებიც. დაწესებულებების 20% ზოგჯერ ღონისძიებებს მხოლოდ გოგოებისთვის ატარებენ, ან მხოლოდ ბიჭებისთვის. თუმცა გენდერული დაყოფის რეგულარული ხასიათი აქვს სკოლამდელი დაწესებულებების მხოლოდ 3%-ს, სადაც ბავშვებს შორის აქტივობების გადანაწილება სქესის მიხედვით ხდება.

სკოლამდელი დაწესებულება უფლებამოსილია ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებს ენობრივი საჭიროებების გათვალისწინებით შესთავაზოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი პროგრამები და რესურსები, როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე, რაც ან არ ხორციელდება ან ხორციელდება ძალიან დაბალი ხარისხით და არ გააჩნია სისტემური მხარდაჭერა³⁸. შესაბამისად, გადაუჭრელ პრობლემად რჩება ენობრივ უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლამდელ დაწესებულებებში სახელმწიფო ენის სწავლების, ბილინგვური/მულტილინგვური პედაგოგების მომზადებისა და ამ დაწესებულებების შესაბამისი სასწავლო-მეთოდოლოგიური პროგრამებით სისტემური უზრუნველყოფის საკითხი.

სკოლამდელი დაწესებულება³⁹ ვალდებულია დაწესებულებაში გამოყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისათვის და ბავშვთა ძალადობისგან დაცვისათვის პასუხისმგებელი პირი, რომელთა არსებობა მოცემულ ეტაპზე დადასტურებულია მხოლოდ 27 მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების 50%-ში⁴⁰.

სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების დასანერგად მუნიციპალიტეტებს შესწავლილი უნდა ჰქონდეთ მუნიციპალური საჭიროებები, რომ შესაბამისად დაგეგმონ ადგილობრივი რესურსები და გაანაწილონ საბიუჯეტო სახსრები⁴¹. მოცემულ ეტაპზე, მუნიციპალური საჭიროებების და ბაღებში არსებული მდგომარეობის იდენტიფიცირება არ არის სისტემური ხასიათის, ხდება ფრაგმენტულად, ძირითადად სხვადასხვა პროექტის ან გარე ინიციატივის ფარგლებში.

³⁸ ასაგ კანონი მუხლი 5, პუნქტი 2.

³⁹ ასაგ კანონი მუხლი 6, პუნქტი 6.

⁴⁰ გადავარჩინოთ ბავშვების პროექტის „საქართველოში სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა სოციალური ანგარიშვალდებულების გზით“ ფარგლებში ჩატარებული ბენჩმარკინგის შედეგები, „გადავარჩინოთ ბავშვები“, „კვირტას გეორგია“, 2020.

⁴¹ ასაგ კანონი მუხლი 10, პუნქტი 3ა).

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, რომ საქართველოს მთავრობამ შესაბამისი უწყებების ჩართულობით და ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს და განახორციელოს მოწყვლადი ჯგუფების (სოფლად მცხოვრები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი, სსსმ და სხვა) წარმომადგენელი ბავშვების სკოლამდელ განათლებაში ჩართვის უზრუნველსაყოფი სტრატეგია. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, სტრატეგია უნდა მოიცავდეს საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებას, რომელიც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებსა და კერძო მომწოდებლებს დააფუძნონ სკოლამდელი განათლების ალტერნატიული მომსახურების ფორმები. ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც გავრცელდება როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებებზე საშუალებას მისცემს ბავშვების მშობლებს, ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს ისარგებლონ სკოლამდელი განათლების უფრო ხელმისაწვდომი კერძო მომსახურებითაც, რაც თავის მხრივ განტვირთავს საჯარო ბალებს და შესაბამისად დაეხმარება მუნიციპალიტეტებს სკოლამდელი განათლების მომსახურების მისაწვდომობის გაზრდაში.
- 2016 წელს მიღებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონი ავალდებულებს საქართველოს მთავრობას ადრეული და სკოლამდელი განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას⁴², ხოლო ამავე კანონით ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება⁴³. ამ მხრივ, რეკომენდებულია, რომ სახელმწიფომ დაამტკიცოს და დანერგოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მომართვის საფუძველზე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (გაეროს ბავშვთა ფონდი, World Vision საქართველო) შემუშავებული ადრეული და სკოლამდელი ინკლუზიური განათლების, ასევე სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერი მომსახურებების დანერგვის ხელშეწყობის დოკუმენტები⁴⁴, რომელთა დანერგვა და განხორციელება რეკომენდებულია თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის სასკოლო მზაობის პროგრამის უზრუნველსაყოფად;
- რეკომენდებულია, ორგანიზაციების „გადავარჩინოთ ბავშვები“ და „კვიტას გეორგია“ მიერ ადგილობრივი მთავრობებისთვის შეთავაზებული „ბენჩმარკინგის“, როგორც მუნიციპალური საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმის დანერგვა ადგილობრივი რესურსების დასაგეგმად და საბიუჯეტო სახსრების გასანაწილებლად;
- ადგილობრივი მთავრობების მიერ მოხდეს მექანიზმის, - „ბენჩმარკინგის“ სისტემურ დონეზე დანერგვა;
- რეკომენდებულია, რომ უკვე მომავალი წლისათვის უნივერსიტეტებმა შეძლონ პროგრამებზე აპლიკანტების მიღება, რაც ნიშნავს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამის პროექტებს აკრედიტაცია/ავტორიზაცია უნდა მიენიჭოს უახლოეს პერიოდში.
- დადგინდეს სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის წესი;
- განისაზღვროს აღმზრდელ-პედაგოგის შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა;
- დამტკიცდეს ტექნიკური რეგლამენტი დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ;
- დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებულებათა რეესტრის წარმოების წესი და ამ რეესტრში შესატანი მონაცემებისა და ინდიკატორების ჩამონათვალი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მომზადდეს ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით საგანმანათლებლო რესურსების სია და მეთოდოლოგიურ რესურსები და მოხდეს ამ რესურსების მუნიციპალიტეტებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მოხდეს ასაგ კანონის შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფების დაკომპლექტებისა და ბავშვთა მაქსიმალური ოდენობების დაცვა.
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მუხლი 28, პუნქტი 4-ის შესაბამისად თბილისის მერიის მიერ დამტკიცდეს ყველა ნორმატიული აქტი; დაიწყოს ხუთივე ნორმატიული აქტის შესაბამისი პროცესების დანერგვა ადგილობრივი მთავრობის მიერ და/ან განმხორციელებელის ხელშეწყობა.
- ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში გამოიყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისათვის და ბავშვთა ძალადობისგან დაცვისათვის პასუხისმგებელი პირი.
- დამტკიცდეს და დაინერგოს სკოლამდელი განათლების სისტემიდან ზოგადი განათლების სისტემაში ინკლუზიური ტრანზიციის პროცედურები და შესაბამისი მექანიზმები, რომელიც შემუშავებულია ორგანიზაციის „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“.

⁴² საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, 2016, მე-7 მუხლი, პუნქტი „ა“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237>

⁴³ საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, 2016, მე-10 მუხლი, პუნქტი 1ა: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237>

⁴⁴ ა) „ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლების ჩარჩო დოკუმენტი“ (პროექტი), UNICEF საქართველო, 2019, ბ) „მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში“; „სმენის დარღვევის მქონე ბავშვების სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში“ (პროექტები), World Vision საქართველო, 2019.

ბავშვთა ინსტიტუციური გრუნვის ტენდენციები

დღეს ოჯახიდან ბავშვის გამოყვანა ადვილი გახდა, მაგრამ მისი უკან დაბრუნება – რთული!

ჩვილი* ბავშვების სახელმწიფო ბრუნვაში მოხვედრის წამყვან მიზეზს



უკულებელყოფა

წარმოადგენს.

მზრუნველის მხრიდან ბავშვის განვითარების საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, რომელიც შეიძლება, გამოწვეული იყოს ოჯახის კრიზისული მდგომარეობით.



*ჩვილობის ასაკი განისაზღვრება 2 თვიდან 12 თვემდე



2018-2019 (აგვისტო) წლებში სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ოჯახიდან გამოყვანილი იქნა **121** ჩვილი.



მინდობით აღზრდის ახალ შემთხვევებში ჩვილების წილი **47%-ია.**



მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების **26%** 0-4 წლამდე ასაკის არის.




0-4 წლამდე ასაკის ბავშვების მხოლოდ **13%-ის** დაბრუნება მოხდა ბიოლოგიურ მშობლებთან.



ბავშვზე ბრუნვის დროს ოჯახი სახელმწიფოსგან სხვადასხვა ფორმის დახმარებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

თუმცა,



271 სოციალური მუშაკი ემსახურებოდა

6836

სახელმწიფო სოციალური რეაბილიტაციისა და ბრუნვის პროგრამებში ჩართულ პირს.



*მცირე საოჯახო ტიპის სახლი, დიდი ზომის ბავშვთა სახლი, მინდობით აღზრდა და ა.შ.



მიჯაჭვულობის თეორიის თანახმად ბავშვის თანდაყოლილი თვისება ძლიერი ემოციური კავშირებით მიეჯაჭვოს ძირითად მზრუნველს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ფუნდამენტურ და კრიტიკულ ფაქტორს მისი სრულფასოვანი განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, მშობლის მზრუნველობითი კომპეტენციები პირდაპირ გავლენას ახდენს ბავშვის კეთილდღეობასა და მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც, გაერთიანებული ერების ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვთა უფლებათა კონვენცია ეფუძნება ბავშვის განვითარების საჭიროებებს, აღიარებს მის საუკეთესო ინტერესებს და მოუწოდებს ხელმოწერს სახელმწიფოებს, ქვეყანაში შექმნან ბავშვის განვითარებისთვის ისეთი გარემო პირობები, რომელიც შეესაბამება კონვენციით დეკლარირებულ უფლებებს.

საქართველოში ბავშვთა უფლებათა კონვენციის ხელმოწერის შემდეგ ქვეყანაში ბავშვთა კეთილდღეობის ახალი ერა დაიწყო. 2005 წელს მთავრობის მიერ შემუშავებული დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმა, რომელსაც წინ უძღოდა 2000-2002 წლებში მანამდე არარსებული სოციალური მუშაობის დანერგვა და პირველი საპილოტო დეინსტიტუციონალიზაციის პროექტის წარმატებით განხორციელება, მიზნად ისახავდა ა) ქვეყანაში შემცირებულიყო ბავშვების ინსტიტუციური ზრუნვის პრაქტიკა; ბ) განვითარებულიყო ეფექტური „ჭიშკრის დარაჯობის“ პოლიტიკა, რომელიც შეამცირებდა მშობლის მიერ ბავშვის მიტოვებისა თუ ოჯახიდან ბავშვის გამოყვანის შემთხვევებს; გ) დანერგილიყო ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული ალტერნატიული ზრუნვის ფორმები, როგორც უკიდურესი გამოსავალი.

პირველად ზუსტად დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შედეგად ქვეყანაში გაჩნდა სოციალური მუშაკის პროფესია, რომელიც მიზნად ისახავს „საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფალ განვითარებას, მის ინტეგრაციას ხელშეწყობას და ინდივიდის გაძლიერებით ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობის ამალგებს“⁴⁵. რეფორმის პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა სოციალური მუშაკების პროფესიული კომპეტენციისა და სუპერვიზიის მექანიზმის, ამასთანავე, ოჯახის საჭიროებებზე მორგებული მხარდამჭერი პროგრამების განვითარებას, რამაც უზრუნველყო მათი მუშაობის მეტი ეფექტურობა და რეფორმის წარმატება.


დღეს, 20 წლის შემდეგ, ერთი შეხედვით საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა ა) რეგულირდება სახელმწიფოში ახალი და მანამდე არსებული ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მეტად მორგებული კანონმდებლობით; ბ) ყოველწლიურად განახლებული და გაზრდილი ბიუჯეტით მტკიცდება სოციალური რეაბილიტაციისა და ზრუნვის პროგრამები; გ) იზრდება სახელმწიფოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის რეფორმის ფარგლებში მუნიციპალიტეტების როლი და პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, თუ გავანალიზებთ სოციალური რეაბილიტაციისა და ზრუნვის პროგრამებში ჩართული ბავშვებისა და მათი ოჯახების არსებულ მდგომარეობას, ბევრ შემთხვევაში ტენდენციას დავინახავთ.

აღსანიშნავია, რომ დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმამ, მართალია, შეამცირა მშობლის ინიციატივით ბავშვების ინსტიტუციაში მოხვედრის შემთხვევები, მაგრამ ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის მექანიზმების ამოქმედებამ, პირიქით გაზარდა სახელმწიფო სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებით ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში მოხვედრის შემთხვევები. რაც ერთი მხრივ ბავშვის ძალადობისაგან დაცვის პოზიტიურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, თუ ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის და მათი რეინტეგრაციის მაჩვენებელს გავანალიზებთ, პირიქით, ბავშვისთვის დამაზიანებელ ტენდენციებს დავინახავთ⁴⁶. ეს კი პირდაპირ მიუთითებს, როგორც „ჭიშკართან დარაჯობისა“ და ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკის არაეფექტურობაზე, ისე სოციალური მუშაობის მომსახურების დეფიციტზე.

მშობლის მიერ ბავშვის მიტოვებისა თუ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილებით ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის მიზეზების მაჩვენებლებით, ორივე შემთხვევაში მშობლის მიერ ბავშვის მიმართ უგულვებლყოფა დომინირებს. ძალადობის ეს ფორმა ზიანის მომტანია, რადგან ბავშვის განვითარებაზე მავნე ზეგავლენას ახდენს; ხანგრძლივი უგულვებლყოფის შემთხვევაში კი ბავშვის სიკვდილის გამოწვევიც შეიძლება იყოს. თუმცა ხაზგასასმელია ისიც, რომ სოციალური მუშაკის მიერ მოწყვლადი ოჯახის დროული აღმოჩენის, ჩარევისა და მხარდამჭერ პროგრამებში ჩართვის შემთხვევაში, უმეტესწილად ბავშვისთვის ოჯახი აღარ წარმოადგენს მისი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ გარემოს. ამიტომ, ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა აუცილებლობას არ უნდა წარმოადგენდეს, თუ იმ მომენტისთვის ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და სოციალური მუშაკი ასრულებს თავის პროფესიულ ვალდებულებას. მით უმეტეს, მიმდინარე სამეცნიერო კვლევები ადასტურებს, რომ ოჯახის მხარდამჭერ პროგრამებში მშობლების ჩართვა ზრდის პოზიტიური მშობლობის ხარისხს და ამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკებს.⁴⁷

⁴⁵ კანონი სოციალური მუშაობის შესახებ.
⁴⁶ საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის 2019 წლის სპეციალური ანგარიში „ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი - ალტერნატიული ზრუნვის ეფექტიანობა“
⁴⁷ Dozier, M., Zeanah, C.H, Bernard, K. (2013) Infants and Toddlers in Foster Care, Child Development Perspectives, The Society for Research in Child Development.

2017-2018 წლებში, საქართველოში სასამართლოს გადაწყვეტილებით მშობლის მიერ მიტოვებულად იქნა აღიარებული სულ 28 ჩვილი⁴⁸. მშობლის მიერ ჩვილების მიტოვების მთავარ მიზეზს წარმოადგენს უგულვებელყოფა (56%), ხოლო ეკონომიკური სიდუხჭირის (8%) და ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის (3%) გამო მიტოვების შემთხვევები შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია⁴⁹. მშობლის მიერ ბავშვის მიტოვების შემთხვევებისგან განსხვავებით, ბავშვის ოჯახებიდან გამოყვანის მაჩვენებელი ბევრად დიდია. 2018-2019 წლის აგვისტოს მონაცემებით⁵⁰ 121 ჩვილი ბავშვი გამოიყვანეს ოჯახებიდან, რის ძირითად მიზეზად სახელდება „ძალადობის სხვადასხვა ფორმა“. სამწუხაროდ, სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია ართულებს უფრო დიფერენცირებული ანალიზის შესაძლებლობას, თუმცა, ის ფაქტი, რომ ასეთ ადრეულ ასაკში ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანა ხდება, უკვე შემაშფოთებელი ტენდენციაა. მით უფრო, როდესაც მათი ოჯახში რეინტეგრაციის შემთხვევები უფრო დაბალია.



თუ მონაცემებს საერთო ასაკობრივ ჯგუფში განვიხილავთ, 2018 წელს მინდობით აღზრდაში სულ 1440 ბავშვი იმყოფებოდა, რომელთა შორის ბავშვების 26% (N 382) 0-4 წლამდე ასაკის გახლდათ. მინდობით აღზრდის ახალ შემთხვევებში, რომელიც საერთო მაჩვენებლის 18 %-ს (N259)⁵¹ წარმოადგენდა, ჩვილების წილმა 47% (N121) შეადგინა. იმავე პერიოდში, 0-4 წლამდე ბავშვების მხოლოდ 13%-ის (N50)⁵² რეინტეგრაცია მოხდა ბიოლოგიურ ოჯახში.

2017-2019 წლების იანვრის მონაცემებით, ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში გადანაწილება (დიაგრამა #1) ნათლად აჩვენებს ოჯახის ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფ ბავშვებსა და რეინტეგრაციის პროგრამაში მყოფ ბავშვებს შორის უკიდურესად განსხვავებულ თანაფარდობას. იმ დროს, როდესაც სახელმწიფო ნაკისრი ვალდებულებით, ორიენტირებული უნდა იყოს ოჯახის გაძლიერების პროგრამირებით, რესურსების 81% მიმართულია ოჯახის ალტერნატიულ ზრუნვაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2019 წლის იანვრის მონაცემებით სახელმწიფო სოციალური რეაბილიტაციისა და ზრუნვის პროგრამებში 6836 პირია ჩართული⁵³ (87 % არასრულწლოვანია), ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა არ აღემატებოდა 271-ს. იმ დროს, როდესაც

⁴⁸ ჩვილობის ასაკი განსაზღვრება 2 თვიდან 12 თვემდე.
⁴⁹ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია N 04/65654 (26/12/2019).
⁵⁰ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია № 04/43272 (14 /08/2019).
⁵¹ საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის 2019 წლის სპეციალური ანგარიში „ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი - ალტერნატიული ზრუნვის ეფექტიანობა“, გვ. 5.
⁵² სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია N 04/65654 (26/12/2019).
⁵³ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1453

2013 წელს მათი რიცხვი იყო 240 და მათი სამუშაო მიმართულება და ბენეფიციარების რაოდენობა – მკვეთრად ნაკლები.

იმდენად დეფიციტურია სახელმწიფო ზრუნვის პროგრამებში სოციალური მუშაკის ხელმისაწვდომობა და ხარისხიანი მომსახურება, რომ უკვე არსებული ძლიერი ფაქტორების გამოყენების შესაძლებლობა იკარგება. მაგალითად, მინდობით აღზრდაში მყოფი არასრულწლოვნების 93.9%⁵⁴ აღნიშნავს, რომ მიმღები ოჯახი ხელს უწყობს მათ ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობას, რაც დადებითი ტენდენციაა და მიუთითებს მინდობით აღზრდის პრაქტიკის ეფექტურობაზე. თუმცა, თუ რეინტეგრაციის შემთხვევების დინამიკას შევხედავთ, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამები არ ეყრდნობა ძლიერ მხარეებზე დაფუძნებულ მიდგომებს (არ იყენებს ამ ფაქტორებს რეინტეგრაციის დროულად განსახორციელებლად) და მხოლოდ კრიზისის ინტერვენციაზეა ორიენტირებული (გამოყავს ბავშვი ოჯახიდან).

სოციალური მუშაობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკისა და ოჯახის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებისას. სოციალური მუშაკის ეფექტური მუშაობა ამცირებს სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვების მოხვედრის რისკებს, მეტ შესაძლებლობას აძლევს ოჯახებს დაძლიონ სირთულეები და მათი შვილების დროული დაბრუნებით, ხელს უწყობს ბავშვებში ალტერნატიული ზრუნვით გამოწვეული მავნე გავლენის შემცირებას. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ეფექტურობა დამოკიდებულია სოციალური მუშაობის ხარისხზე და გადაუდებლად მნიშვნელოვანია ბავშვზე ზრუნვის სისტემის მორგება ბავშვის და მისი ოჯახის საუკეთესო ინტერესებზე.

⁵⁴ საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის 2019 წლის სპეციალური ანგარიში „ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი - ალტერნატიული ზრუნვის ეფექტიანობა“, გვ. 13.

რეკომენდაციები

- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფარგლებში სოციალური მუშაობის: ა) პროფესიული სუპერვიზიის მექანიზმის დანერგვა და განვითარება; ბ) კლინიკური მიდგომების განვითარება (მაგალითად, მოტივაციური ინტერვიუების მეთოდების სწავლება); გ) სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობის გადახედვა და მისი პროფესიულ კომპეტენციებთან შესაბამისობა; დ) ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში მოხვედრის პრევენციისა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის სახელმძღვანელო გაიდლაინის შემუშავება.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში ა) სოციალური პროგრამების შემუშავება ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში მოხვედრის პრევენციისა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით, ბ) სოციალური მუშაობის მომსახურების სტანდარტების შემუშავება და ეკოსისტემური მიდგომების დანერგვა.
- ოჯახის მხარდაჭერ პროგრამებში გათვალისწინებული იქნეს ბავშვის (განვითარება), მშობლისა (მშობლობა) და ოჯახის (ფუნქციონირება) საჭიროებებზე მორგებული რესურსები მულტისექტორულ და მულტიდისციპლინურ პრინციპებზე დაყრდნობით.

ბავშვთა სიღარიბე და დენსტიტუციონალური ზრდა


ბავშვები დიდი ზომის ინსტიტუციებში


ყველა ბავშვის უფლებაა, იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში.

თუმცა, საქართველოში **1500-მდე ბავშვი** კვლავ განაგრძობს ცხოვრებას დიდი ზომის ინსტიტუციებში:


ბავშვთა სახლებსა და სკოლა-პანსიონატებში.


არალიცენზირებული დაწესებულებები

 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფი არასრულწლოვანთა სადღეღამისო პანსიონატები

 ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებისადმი დაქვემდებარებული ბავშვთა სახლები

ლიცენზირებული დაწესებულებები


 შებენიანი შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლები


 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს

- ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი

- სოფელ ფერიის წმ. მათათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონი

- ბედიანის ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრი

 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებული სკოლა-პანსიონატები



დაწესებულება

ბავშვი

38-მდე

900-მდე

2

80-მდე

3

73

101

6

16

...

7 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის



საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა რამდენიმე ეტაპად წარიმართა. პირველი ეტაპი დაიწყო 1999 წლიდან, როდესაც გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობით განხორციელდა დენსტიტუციონალიზაციის საპილოტე პროექტი. ამ დროისთვის 5000-მდე ბავშვი ცხოვრობდა 46 დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებაში. 2004 წლიდან დიდი ზომის ბავშვთა სახლების დახურვა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის მთავარი მიმართულება გახდა. ამის შემდეგ საქართველოში დიდი ზომის ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებები დაიხურა და მათ ნაცვლად გაჩნდა ზრუნვის ალტერნატიული ფორმები მინდობით აღზრდისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების სახით.

სოციალური დაცვის სისტემის გაუმართაობისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის კრიზისის პირობებში, როდესაც ყოველი მეხუთე ბავშვი ცხოვრობს ისეთ შინამეურნეობაში, სადაც დაკმაყოფილებული არ არის მათი საბაზისო საჭიროებები⁵⁵, კვლავ გაგრძელდა ბავშვების ინსტიტუციონალიზაცია. სახელმწიფო კვლავ ვერ უზრუნველყოფს ბავშვების მიტოვებისა და მათი დიდი ზომის, ხშირად არალიცენზირებულ დაწესებულებებში მოხვედრის პრევენციას.

ეროვნულ დონეზე, შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 4.3%, მოსახლეობის 5.0% და ბავშვების 6.8% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების, მოსახლეობისა და ბავშვების რაოდენობა შესაბამისად 2.6, 2.9 და 4.3 პროცენტული ერთეულით გაიზარდა, ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა კი – 26.8%-დან 31.6%-მდე. საქართველოში ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს შინამეურნეობების 19.6%, მოსახლეობის 21.7% და ბავშვების 27.6%⁵⁶. საქართველოს მთავრობის მიერ ღარიბი შინამეურნეობებისთვის დახმარების გაწევის მთავარ მექანიზმს წარმოადგენს „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა“, რომელიც როგორც ფულად, ისე გარკვეულ არაფულად დახმარებების ითვალისწინებს. „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მონაცემები აჩვენებს, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მიერ მოწყვლადი მოსახლეობის დაფარვის არეალი საკმაოდ შეზღუდულია, რადგან ის ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ბავშვების მხოლოდ 37%-ს ფარავს⁵⁷. ამ ფონზე, 2019 წელს ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით პოზიტიური ცვლილება, რომლითაც მიმდები ოჯახების შემთხვევაში, რომელთა რეგისტრირებული ქულა 100 001-ზე ნაკლებია, ბავშვებზე გამოყოფილი დახმარება 10 ლარიდან 50 ლარამდე გაიზარდა ბავშვების კვების ბარათის სახით, არსებითად ვერ აუმჯობესებს ბავშვთა სიღარიბესთან დაკავშირებულ მდგომარეობას.

ბავშვთა სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე ხელს უშლის ბავშვების დიდ ნაწილს მიიღონ მათი ასაკის შესაბამისი განვითარებისათვის საჭირო საკვები. 2019 წელს გამოქვეყნებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგების მიხედვით, 6–23 თვის ასაკის ბავშვების ნახევარი საკვები პროდუქტების რეკომენდებული 8 ჯგუფიდან ღებულობს მხოლოდ 5 ჯგუფს. ამავე ასაკის მხოლოდ 66% ღებულობს მყარ/თხევად საკვებს, მათი ასაკის შესაბამისად, რეკომენდირებული მინიმალური სიხშირით და ხოლო 27% ღებულობს მინიმალური კვების რაციონს და მრავალფეროვან საკვებს მინიმალური სიხშირით⁵⁸.

დენსტიტუციონალიზაციის მიმართულებით ქვეყანაში არსებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად საქართველომ რეკომენდაციები მიიღო უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მეორე ციკლისა და გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტისგან მეოთხე პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტი დენსტიტუციონალიზაციის თემასთან დაკავშირებულ პრობლემებს პირდაპირ უკავშირებს არასაკმარის ფინანსურ რესურსებს ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების მიმართულებით, სოციალური დაცვის სისტემასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ბავშვების საჭიროებების ადრეულ იდენტიფიცირების და მართვასთან დაკავშირებულ სირთულეებს. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის 2018–2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში გაჩნდა ცალკე ქვეთავი, რომელიც შეეხო დენსტიტუციონალიზაციის საკითხს. თუმცა, 2018–2019 წლებში განხორციელებული ღონისძიებები კვლავ ფრაგმენტულია, არ ცვლის არსებით სურათს და უმეტეს შემთხვევაში არ პასუხობს სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს⁵⁹.

⁵⁵ საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის კვლევა, UNICEF საქართველო, 2018.
⁵⁶ საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის კვლევა, UNICEF საქართველო, 2018.
⁵⁷ მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვთა სიღარიბის სიდრმისეული ანალიზი და სოციალური ტრანსფერებით სიღარიბის შემცირების სიმულაცია, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2019.
⁵⁸ 2018–2019 წლებში ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) შედეგები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ჩვილთა და ბავშვთა კვება, 2019.
https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-11/iycf_ge.pdf
⁵⁹ საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი – ალტერნატიული ზრუნვის ეფექტურობა, 2019; ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში, 2018; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წერილი 01/20845, 16 დეკემბერი, 2019.

2019 წელს ძალაში შევიდა ახალი რეგულაცია ბავშვთა დიდი ზომის დაწესებულებების ლიცენზირების პირობებთან დაკავშირებით, მაგრამ მას რაიმე არსებითი ცვლილება არ მოყოლია.

დეინსტიტუციონალიზაციის თემასთან დაკავშირებით რამდენიმე პრობლემური მიმართულება უნდა გამოიყოს:

- 2004 წელს დაწყებული ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმა, რომლის მთავარი მიზანი დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულება იყო, დისკრიმინაციულად არ შეეხო შშმ ბავშვთა სახლებს. დღემდე 80-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი განაგრძობს ცხოვრებას თბილისის ჩვილ ბავშვთა და კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლებში.
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულების კუთხით, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოსთან, მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ არასრულწლოვანთა სადღეღამისო პანსიონატებსა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებისადმი დაქვემდებარებული ბავშვთა სახლები. აღნიშნული დაწესებულებების უმეტესობა არის არალიცენზირებული (38-მდე დაწესებულება)⁶⁰, რაც ზრდის იქ მცხოვრები 900-მდე ბავშვის უფლებების სისტემური დარღვევის რისკს. რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფი სკოლა-პანსიონების ფუნქციონირება ქვეყანაში ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება და ის პანსიონების ლიცენზირებისა და სახელმწიფო კონტროლის უმოქმედობას უკავშირდება. სახელმწიფოს ამ დრომდე არა აქვს ინფორმაცია ქვეყანაში არსებული ყველა რელიგიური სკოლა-პანსიონის შესახებ, მათგან ლიცენზირებულია მხოლოდ სამი დაწესებულება⁶¹.
- ბავშვები ცხოვრობენ ასევე სკოლა-პანსიონატებში, რომლებიც ექვემდებარება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. სულ საქართველოში 16 სკოლაა, რომელიც მოსწავლეებს პანსიონურ მომსახურებას სთავაზობს, მათ შორის ფუნქციონირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა 7 რესურს-სკოლა. აღნიშნულ დაწესებულებებში ხშირად მოსწავლეების ჩარიცხვის მიზეზი ოჯახების სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონეა. ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მოსწავლეების ჩარიცხვა ხდება არამიზნობრივად. ამასთან, დღემდე არ დამტკიცებულა აღნიშნული სკოლა-პანსიონატების მომსახურების სტანდარტი და ეფექტური მონიტორინგის მექანიზმი⁶².

რეკომენდაციები

- შემუშავდეს და დაინერგოს ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმი, რომელიც მიმართული იქნება ოჯახების გაძლიერებისკენ, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ბავშვის მიტოვების პრევენციისკენ;
- დაუყოვნებლივ განხორციელდეს ყველა დიდი ზომის დაწესებულების ლიცენზირება, რომელიც აკმაყოფილებს სალიცენზიო პირობებს 2020 წლის ბოლომდე;
- ყველა ლიცენზირებულ დაწესებულებაში შეფასდეს ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებები და შეიქმნას ოჯახების მხარდაჭერი ისეთი მომსახურებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ბავშვების ბიოლოგიურ მშობლებთან დაბრუნებას;
- ყველა ლიცენზირებულ დაწესებულებაში განხორციელდეს საჭიროებების შეფასების შემდეგ, სადაც გამოიკვეთება, რომ შეუძლებელია ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახთან დაბრუნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მოხდეს აღნიშნული ბავშვების ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ მომსახურებებში განთავსება;
- დაწესებულებებიდან, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებს ლიცენზირების მოთხოვნებს, დაუყოვნებლივ მოხდეს ბავშვების ზრუნვის ალტერნატიულ ფორმებში გადაყვანა.

⁶⁰ Joint staff working document, Association Implementation Report on Georgia, 2020, https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/1_en_document_travail_service_conjoint_part1_v4.pdf

⁶¹ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი (73 ბავშვი); საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონი (101 ბავშვი); საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ბედიანის ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრი (6 ბავშვი).

⁶² საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019.

ბავშვთა მიმართ ძალადობა

პრევენციული მექანიზმების არაეფექტურობისა და სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო რეაგირების გამო, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის მაჩვენებელი მაღალია.



ძალადობა სკოლაში



სკოლებიდან ძალადობის შესახებ გადაგზავნილი შემთხვევების რაოდენობა:



სავარაუდო ბულინგის **1134** შემთხვევა

სკოლის თანამშრომლის მხრიდან ძალადობის **259** შემთხვევა



198

შინაგან საქმეთა სამინისტროში

461

სოციალური მომსახურების სააგენტოში

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში გადამისამართდა **3434** შემთხვევა.

ძალადობა ოჯახში



ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე გამოცემული **740** შემაკავებელი ორდერი



ოჯახში ძალადობის/დანაშაულის საფუძველზე გამოცემული ორდერების დარღვევის გამო **380** სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა



სექსუალური ძალადობა

2019 წელს, არასრულწლოვანის მიმართ **სექსუალური ძალადობის**

262 შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება.



149 საქმე

თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა

79 საქმე

გარყვნილი ქმედება

24 საქმე

გაუპატიურების დანაშაული

9 საქმე

სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება

1 საქმე

სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება



ბავშვთა დაცვის სისტემის ხარვეზები

2019 წელს კვლავ საგანგაშო იყო ძალადობის შემთხვევათა რაოდენობა და იდენტიფიცირების სირთულე. უკიდურესად მწირია ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის და სფეროში მომუშავე პროფესიონალთა რაოდენობა. უწყებებს შორის ფრაგმენტულია თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში გამომძიებლებისათვის მომზადდა რეკომენდაცია ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიების სტანდარტებზე, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით დაგეგმა საინფორმაციო კამპანია, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დანაშაულის პრევენცია. 2018 წელს, სოციალური მომსახურების სააგენტომ 115 შემთხვევა შეისწავლა, 2019 წელს – 261 შემთხვევა.⁶³ კვლავ მაღალია ბავშვთა გადინება საგანმანათლებლო სივრცეებიდან ქორწინების მიზეზით, რაც გოგონების წინაშე არსებული გამოწვევაა.

სისტემური პრობლემები აისახა ოჯახში და საგანმანათლებლო გარემოში ძალადობის შემთხვევათა ზრდაზე, არაეფექტურ რეაგირებაზე და პრევენციული პოლიტიკის ნაკლებობაზე. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის სერვისები მცირედი გაუმჯობესების მიუხედავად არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.⁶⁴

ძალადობა სკოლებში

განათლების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, 2019 წელს სკოლებში მოსწავლეთა შორის სავარაუდო ბულინგის 1134 შემთხვევა აღირიცხა. 259 შემთხვევაში სკოლის თანამშრომლის მხრიდან მოსწავლის მიმართ ჩადენილ შესაძლო ძალადობის ფაქტზე დაიწყო დისციპლინური წარმოება. სკოლების მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაგზავნილია 198 შემთხვევა. რაც შეეხება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მათთან სკოლებიდან გადაიგზავნა 461 შემთხვევა. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში, 2019 წელს, სკოლებიდან გადამისამართდა 3 434 შემთხვევა.⁶⁵

სკოლა უძლურია პრევენციის თვალსაზრისით და ვერ უმკლავდება უფლების დარღვევის მსუბუქ შემთხვევებსაც კი. სკოლებში არ არსებობს ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა, კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების წესები. პრობლემად რჩება კიბერბულინგის შემთხვევების აღმოჩენა და მათზე ადეკვატური რეაგირება. უკიდურესად მწირია ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის სახელმწიფო სერვისები. გამოწვევად რჩება კერძო სკოლებში არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვის საკითხი.

ძალადობა ოჯახში

2019 წელს ოჯახში ძალადობის 87 ახალი შეტყობინება დაფიქსირდა ჯანდაცვის სისტემაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წელს, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, სადაც მსხვერპლი არასრულწლოვანია, 740 შემთხვევითი ორდერი გამოიცა.⁶⁶ გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 380 ადამიანი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ოჯახში ძალადობის/დანაშაულის საფუძველზე გამოცემული ორდერების დარღვევის გამო.⁶⁷ დარღვეული ორდერების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის არსებული მექანიზმის ნაკლოვანებებზე. სისტემური პრობლემის მაგალითია 4 წლის ბავშვის გარდაცვალება, რომელიც ოჯახში ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულს ემსხვერპლა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა დაცვის სახელმწიფო სისტემა სრულად იყო ინფორმირებული წინასწარ არსებული რისკების შესახებ, სისტემამ არასრულწლოვანის დაცვა ვერ შეძლო.⁶⁸

⁶³ სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 203.

⁶⁴ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში საქართველოს მასშტაბით წინა წელთან შედარებით 2 შტატით გაიზარდა ფსიქოლოგთა რაოდენობა (13) რაც ცალსახად ვერ აკმაყოფილებს არსებულ საჭიროებებს. წლის მანძილზე მომსახურება გაუწიეს 1263 ბავშვს (სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი #07/1483).

⁶⁵ სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 336.

⁶⁶ იქვე, გვ. 337.

⁶⁷ გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია #13/19154. პროკურატურა არ აზუსტებს დარღვეულ ორდერთაგან რამდენია ბავშვის დასაცავად გამოცემული ორდერები.

⁶⁸ <http://liberali.ge/news/view/42673/sistema-tavisi-umoqmedobit-khdeba-dzaladobis-khelshemtsyobi--koalitsia-4-tslis-bavshvis-gardatsvaleb>

სამსხალური ძალადობა

უმწევრესი პრობლემა ბავშვთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წელს არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური ძალადობის 262 შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება, მათ შორის 24 – გაუპატიურების დანაშაული, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება – 9 საქმე, სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება – 1 საქმე, გარყვნილი ქმედება – 79 საქმე და თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის 149 საქმე.⁶⁹ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც სასჯელის გამკაცრებას, დამნაშავეთათვის უფლებების ჩამორთმევასა და სექსუალური ძალადობისთვის მსჯავრდებულ პირთა ბაზის შექმნას ითვალისწინებს. 2019 წელს, წინა წლებთან შედარებით, სტატისტიკა მზარდია, ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების სისუსტის და საზოგადოებაში არსებული ტაბუირებული თემის პირობებშიც კი მიმართვიანობის მაჩვენებელი სავარაუდოდ არ ასახავს პრობლემის რეალურ მასშტაბს.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციების მიუხედავად, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ბავშვთა უფლებების კოდექსის მიღების დროს კოდექსის პროექტიდან ამოიღო მნიშვნელოვანი პრევენციული ინიციატივა საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სწავლების შესახებ.

რეკომენდაციები


- როდენობრივად და ხარისხობრივად გაიზარდოს ძალადობაგამოვლილ და დანაშაულის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის სახელმწიფო სერვისები ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით;
- გაუმჯობესდეს უწყებებს შორის კოორდინაციის და კომუნიკაციის მექანიზმი ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის და რეაგირების ეფექტურობის მიზნით;
- გადაიხედოს ბავშვთა ქორწინების დამაზიანებელი პრაქტიკის პრევენციის და დანაშაულთა სწრაფი გამოძიების მექანიზმები. გაძლიერდეს პროფესიონალთა ვალდებულებების მონიტორინგის მექანიზმი;
- შეიცვალოს საგანმანათლებლო გარემო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რაც მოიცავს აუცილებელ პროფესიონალთა დაქირავების შესაძლებლობის შემქნას სკოლებისთვის, პროგრამების შემუშავებას ბულინგისა და ძალადობის შემთხვევათა პრევენციის და იდენტიფიცირების მიზნით; აუცილებელია სკოლებს ჰქონდეთ კრიზისული სიტუაციების მართვის ერთიანი პოლიტიკა და მისი აღსრულების შესაბამისი რესურსები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ძალადობის პრევენციის და რეაგირების მექანიზმის დანერგვის აუცილებლობა, რომელიც თანაბრად შეეხება საჯარო და კერძო სკოლებს;
- არსებითად გადაიხედოს ოჯახში ძალადობის/დანაშაულის შემთხვევებზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმების ეფექტურობა;
- რეგორმირდეს ბავშვზე ზრუნვის სისტემა. აუცილებელია სათანადო პროფესიონალების და პროგრამების მობილიზება;
- შეიცვალოს სექსობრივ დანაშაულთა შესწავლის და პრევენციის არსებული მექანიზმი, მათ შორის შემუშავდეს კიბერდანაშაულების ეფექტური გამოძიება და მსხვერპლთა სათანადო რეაბილიტაცია;
- ფორმალური განათლების სისტემას დაემატოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით სწავლების ვალდებულება.

⁶⁹ სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში, გვ. 335.

მკვლევარების და ჩვილ
ბავშვთა მოკვდაობის პრობლემა

მკვდრადშობადობა, ჩვილ და 0-5 წლამდე ბავშვთა მოკვდაობა

საქართველოში, მიუხედავად ჩვილ ბავშვთა მოკვდაობისა და მკვდრადშობადობის მაჩვენებლების კლებისა, ის ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებლებს მაინც აღემატება.



მკვდრადშობადობა
1000 დაბადებულზე
(2017)

საქ

9.8

ევროპ

5.3

სიკვდილობა

1000 ცოცხლადშობილზე (2018)

ნეონატალური

(დაბადებიდან 28 დღემდე)

6

2

ჩვილ

ბავშვებში

8.1

3.5

0-5 წლამდე

ბავშვებში

10

4

%

ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის მიზეზები:



დედის ჯანმრთელობა პერინატალურ პერიოდში*



დღენაკლულობა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები



თანდაყოლილი ანომალიები




ინფექციები



ასფიქსია

დაახლოებით 27% გართულებების პრევენცია შესაძლებელია ორსულის მოვლის და მასზე ზრუნვის პირობების გაუმჯობესებით.



*პერინატალური პერიოდი – ორსულობის 22-ე კვირიდან, მოიცავს მშობიარობის პერიოდს და სრულდება მშობიარობიდან 7 დღის განმავლობაში



პროექტი „გაითვალისწინე ბავშვების ხმა“ დაფინანსებულია ბულგარეთის განვითარების სააგენტოს მიერ

წყარო:

Eurostat, Infant Mortality Rates

ჯანმრთელობის დაცვა, მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა, NCDC, 2017

The World Bank, Mortality Rate

Who - Every Newborn: an action plan to end preventable death, 2014

საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმაში აისახა დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი. სამიზნე ამოცანებს შორის უნდა აღინიშნოს დედათა მოკვდაობის და ნეონატალური სიკვდილობის შემცირება, რაც თავის მხრივ უკავშირდება ჩვილ ბავშვთა მოკვდაობისა და მკვდრადშობადობის პრობლემას. ბავშვთა მოკვდაობის შეფასების გაეროს სააგენტოთაშორისო ჯგუფის (IGME) მონაცემებზე დაყრდნობით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა (1000 ცოცხლადშობილზე) შემცირდა 41-დან (1990წ) 11-მდე (2015), ასევე შემცირდა მკვდრადშობადობა 16,8-დან (2006წ), 9,7-მდე (2015წ) , 2018 წლისათვის ეს მაჩვენებლები შეადგენდა შესაბამისად 8,1 და 8,5-ს ყოველ 1000 დაბადებაზე (წყარო: ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკური ცნობარი, 2018). უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კლების ტრენდისა, დასახელებული კოეფიციენტები აღემატება ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებლებს. კვლავ მაღალი რჩება ნეონატალური სიკვდილობის წილი როგორც 5 წლამდე ასაკის, ასევე ჩვილ ბავშვთა სიკვდილობაში და შესაბამისად შეადგენს 58-60 % და 70%-ს.

მკვდრადშობადობა

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვდრადშობადობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა: 10,7-დან (2009 წ) 8,5-მდე (2018 წელს); თუმცა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით კვლავ მაღალი რჩება (ბოლო ხელმისაწვდომი წლის მონაცემებით: დსთ _ 9,3, ევროკავშირი _ 5,3) მკვდრადშობადობის 79,8%-ს ადგილი ჰქონდა ანტენატალურ პერიოდში, 12,6%-ს კი ინტრანატალურ პერიოდში (7,7%-ში ნაყოფის გარდაცვალების დროის დადგენა სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით ვერ მოხერხდა). გესტაციის ადრეულ ვადაზე (22-27 კვირა) მკვდრადშობადობა დაფიქსირდა ანტენატალურ პერიოდში 36,5%-ში, ხოლო ინტრანატალურ პერიოდში _ 70,9%-ში (2018 წ). მკვდრადშობილთა საერთო რაოდენობიდან ნახევარზე მეტი (59,1%) იყო 999 გრამამდე მასის მქონე. 2018 წლის მონაცემებით მნიშვნელოვანი განსხვავებებია რეგიონალურ ჭრილში მკვდრადშობადობის მაჩვენებლებს შორის. გამოწვევად რჩება მკვდრადშობადობის მიზეზების შესწავლა, რადგან ერთი მხრივ, იშვიათად (მხოლოდ კვლევის შემთხვევაში) ხდება ვერბალური და პათოლოგანატომიური აუტოფსიის შედეგების ანალიზი, მეორე მხრივ, სამედიცინო ჩანაწერებში არ არის წარმოდგენილი სრულფასოვანი ინფორმაცია დედის ჯანმრთელობის ისეთი დეტერმინანტების შესახებ, როგორცაა გარემოს და ქცევის დეტერმინანტები, რაც მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს მკვდრადშობადობის მიზეზების კვლევისას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2013 წელს შემუშავებული იქნა მკვდრადშობადობის, დედათა და 5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების სასწრაფო შეტყობინების სისტემა, რომლის საფუძველზე მკვდრადშობადობის თითოეული შემთხვევა ექვემდებარება შეტყობინებას 24 საათის ვადაში, ხოლო სამედიცინო დოკუმენტაცია სამინისტროში წარდგენილი უნდა იყოს 5 სამუშაო დღის ვადაში. მკვდრადშობადობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია დაფუძნებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური დახმარებით, 2016 წლის 1 იანვრიდან ქვეყანაში დანერგა ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის მოდული, ე.წ. ქართული „დაბადების რეგისტრი“. მოდული ორსულობის მიმდინარეობისა და მშობიარობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვების, მომსახურების ხარისხის მართვის და გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.

ჩვეულებრივ, განვითარებულ ქვეყნებში ინტრანატალურ პერიოდში დაფიქსირებულ მკვდრადშობადობათა გავრცელება 4-10%-მდე მერყეობს. საშუალო შემოსავლების ქვეყნებთან შედარებით საქართველო გამოირჩევა ინტრანატალურ პერიოდში დაფიქსირებულ მკვდრადშობადობის დაბალი პროცენტით (14%), შესაბამისად, აღ-

ნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას. იმის გამო, რომ ქვეყანაში ფართოდ არ გამოიყენება პათოლოგანატომიური აუტოფსია, ვერ ხერხდება მკვდრადშობადობის ჭეშმარიტი დროისა და მიზეზების დადგენა.

ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა

საქართველოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის თანდათან შემცირება დაიწყო 2005 წლიდან. 2010 წლიდან მოხდა მისი სტაბილიზაცია, ხოლო 2016 წლიდან მნიშვნელოვანი შემცირება. მიუხედავად ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირების ტენდენციისა, საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს მოკვდაობის სტრუქტურაში პერინატალური პერიოდის პათოლოგიასთან დაკავშირებული ფეტო-ინფანტილური დანაკარგების შემცირება (2018 წელს 0-1 წლამდე ბავშვთა სიკვდილობის სტრუქტურაში 68.5%-ს პერინატალური პერიოდის ავადმყოფობები შეადგენდა). ამავ დროს ნეონატალური სიკვდილობის ერთი მესამედი დაფიქსირდა იმ ახალშობილთა შორის, რომელთა გესტაციური ასაკი იყო ≥ 34 კვირა (ნაადრევი მშობიარობა). კვლავ მაღალი რჩება 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალებაში ჩვილ ბავშვთა წილი, რომელიც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის და საქსტატის მონაცემებით (83.9%) თითქმის ორჯერ აღემატება გლობალურ მაჩვენებელს (40% _ ჯანმო). 2015 წლის შემდეგ ჩვილთა გარდაცვალების მიზეზების ანალიზისათვის დოღფუსის კლასიფიკაციის გამოყენება დაიწყო. უკანასკნელი მონაცემებით, ნეონატალურ პერიოდში სიკვდილობის მიზეზთა შორის დღენაკულულობა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები (51,8%) და თანდაყოლილი ანომალიები (20,3%), ასფიქსია და ინფექციები (შესაბამისად, 5,8% და 5,8%) ინაწილებენ პირველ-მეოთხე ადგილს, რაც შეეხება პოსტნეონატალური გარდაცვალების მიზეზებს, წამყვან პოზიციასზე: დღენაკულულობა და მასთან ასოცირებული პრობლემები (44,2%) და თანდაყოლილი ანომალიები (27,9%), ინფექციები (13,6%) და პერინატალური ინფექციები (3,2%). გარდაცვლილ ჩვილთა სიკვდილის შემთხვევათა 85% გამოწვეული იყო პრევენტაბელური მიზეზებით, როგორცაა მაგალითად, უბედური შემთხვევა და ინფექციები (წყარო: ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკური ცნობარი, 2018). მტკიცებებზე დაფუძნებული კვლევები აჩვენებს, რომ სიკვდილობის დაახლოებით 35,3% შეიძლება თავიდან იქნას აცილებული დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის და მკურნალობის შემთხვევაში ორსულობის პერიოდში და მათგან 26,8% არის პრევენციურადი ორსულის მოვლის და მასზე ზრუნვის პირობების გაუმჯობესებით (წყარო: WHO-Every Newborn: an action plan to end preventable deaths, 2014).

ჩვილ ბავშვთა სიკვდილობის შესახებ მონაცემთა შეგროვება ხდება როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, ისე სამედიცინო დაწესებულებებიდან და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, რომელიც ჩვილთა გარდაცვალების შემთხვევების შესახებ ინფორმაციას აგროვებს დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის (EIDSS) საშუალებით.

სტატისტიკურ მონაცემთა უფრო დეტალური ანალიზით ცხადი ხდება, რომ ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებლების შედარებით მნიშვნელოვანი შემცირება მოხდა უკანასკნელ წლებში ათასწლეულის გამოწვევის მიზნების შესასრულებლად ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შემდეგ, რაც დაეფუძნა დედათა და პერინატალური ჯანმრთელობის მონაცემთა ჩაღრმავებულ ანალიზს. შესაბამისად, დაიგეგმა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინტერვენციები, მათ რიცხვში უნდა აღინიშნოს პერინატალური რეგიონალიზაცია, როგორც ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის ამაღლებისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტი. 2017 წლიდან განხორციელდა არსებული პერინატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების კატეგორიზაცია მთელი ქვეყანის მასშტაბით. ამასთანავე, შეიქმნა პროტოკოლები პირველადი ჯანდაცვისა და მეორე დონის დაწესებულებებისთვის, საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა პაციენტის რეფერალი მესამე დონეზე. დაინერგა ანტენატალური და სამეანო მომსახურების ზედამხედველობის აღრიცხვიანობის ელექტრონული სისტემა ე.წ. “დაბადების რეგისტრი“ (ელექტრონული მოდულის მეშვეობით ხორციელდება თითოეული ორსულის უწყვეტი მონიტორინგი პირველი ანტენატალური ვიზიტიდან მშობიარობის ჩათვლით). რვამდე გაიზარდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ანტენატალური ვიზიტების რაოდენობა, ასევე ორსულობის პირველ ტრიმესტრში ანტენატალურ მეთვალყურეობაზე აყვანილ ორსულთა პროცენტული რაოდენობა, 2017 წლიდან ყველა ორსულს უტარდება ტესტირება აივ-ზე და სიფილისზე, დადებითი

პასუხის შემთხვევაში ხდება შესაბამისი მკურნალობით უზრუნველყოფა. 13 კვირამდე ვადის ყველა ორსულს ეძლევა ფოლიუმის მჟავის პრეპარატები, ხოლო რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოსტიკის შემთხვევაში – რკინის შემცველი მედიკამენტები. B ჰეპატიტზე ტესტ-დადებითი დედების ახალშობილებს უტარდება B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. თითქმის 99,9 %-ს აღწევს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების წილი და სხვ.


რეკომენდაციები

- ჩვილ ბავშვთა მოვდაობის მაჩვენებლების შემცირების რეზერვის გამოვლენისა და ტრენდის შენარჩუნებისათვის საჭიროა სიკვდილობის თითოეული შემთხვევის დეტალური ანალიზი _ სიცოცხლისუნარიანი ჩვილი ბავშვის სიკვდილის პრევენციურადი მიზეზების დადგენის თვალსაზრისით, ასევე კვლევის ჩატარება მედიკო-ბიოლოგიური, ორგანიზაციული, მედიკო-სოციალური ფაქტორების კომპლექსის ღრმად შესწავლის (მათ შორის, რეგიონულ ჭრილში), რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების და შემდგომში, კვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ღონისძიებების დაგეგმვა/რეალიზაციის მიზნით;
- ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საქართველოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილობის წამყვანი მიზეზია პერინატალურ პერიოდში განვითარებული მდგომარეობები, მათ შორის _ დედის ჯანმრთელობა, რასაც საფუძველი ეყრება ბავშვობიდან და ახალგაზრდობიდან. შესაბამისად, აუცილებელია ახალგაზრდების და ფერტილური ასაკის ქალების რეპროდუქციული პოტენციალის შეფასება (პრენატალური დიაგნოსტიკა), ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიდგომების ჩამოყალიბება და პრიორიტეტული ინტერვენციების განხორციელება ჯანმო-ს „ქალთა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის გლობალური სტრატეგიის (2016–2030): გადარჩენა, განვითარება, გარდაქმნა“ გათვალისწინებით.
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების საფუძველი სამეანო და პერინატალური დახმარების ხარისხის გაუმჯობესებაა პირველი-მეორე დონის სამეანო დახმარების დაწესებულებათა ფართო ქსელში, სადაც ხდება ორსულობის მიმდინარეობაზე მეთვალყურეობა და დროული მშობიარობის უმეტესობა. მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ჩასახვამდე, ანტენატალურ და მშობიარობის შემდგომ სერვისებზე უნივერსალური წვდომისათვის საჭიროა ამბულატორიულ რეგულში სისტემური ხასიათის ცვლილებების განხორციელება;
- საჭიროა ნაადრევ მშობიარობასთან დაკავშირებული სტრატეგიის დანერგვა, რომელიც ეყრდნობა ჯანმოს მიერ მოწოდებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინტერვენციებს, ასევე დღენაკულუ ახალშობილთა ჯანმრთელობის მართვის გაუმჯობესება და თანდაყოლილი ანომალიების პრევენციული, ნაადრევი გამოვლენისა და მენეჯმენტის პროგრამების გაძლიერება, რაც საბოლოოდ, მნიშვნელოვნად შეამცირებს ჩვილ ბავშვთა მოვდაობას;
- პერინატალური რეგიონალიზაციის პროგრამის დანერგვის მოცემულ ეტაპზე აუცილებელია მედიკო-სოციალური და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება რეპროდუქციული დანაკარგების მაჩვენებლების თვალსაზრისით, ასევე დედათა და ბავშვთა დაცვის სფეროში მომსახურების მდგომარეობის თვალსაზრისით, მათ შორის საზოგადოებრივი აზრის მონიტორინგი სამივე დონეზე დახმარების ხარისხის და ხელმისაწვდომობის კონტროლის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს მუდმივი უკუკავშირის განხორციელებას და მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხის გაზომვას;
- საჭიროა სამეანო პროფილის მესამე დონის დაწესებულებაში კატამნეზის კაბინეტის ან განყოფილების ორგანიზების საკითხის განხილვა მაღალკვალიფიციური სპეციალიზებული დახმარების აღმოჩენის მიზნით ღრმად დღენაკულუ ახალშობილებისათვის, რომლებიც დაიბადნენ ძალიან მცირე და ექსტრემალურად მცირე მასით, ასევე მათთვის, ვინც ადრეულ ნეონატალურ პერიოდში გადაიტანა კრიტიკული მდგომარეობა. მსგავსი კაბინეტის ძირითადი მიზანი იქნება თანდაყოლილ და პერინატალურ პათოლოგიასთან დაკავშირებული ზოგიერთი ქრონიკული დაავადების პროფილაქტიკა, ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

არის თუ არა პოლიციაში გამოკითხვის პროცესი ბავშვზე მორგებული?



პოლიციაში არასრულწლოვანის გამოკითხვისას აუცილებელია ბავშვზე მორგებული გარემო.



თუმცა, დღეს საქართველოში:



გამომძიებლებმა/პროკურორებმა არ იციან, ზუსტად რა შემთხვევებში არის აუცილებელი ფსიქოლოგის მონწილევა.

უმეტეს შემთხვევაში გამოკითხვა ხორციელდება ბავშვზე არაორიენტირებულ გარემოში.

არ არსებობს გამოკითხვისთვის შესაბამისი სივრცეები.



იმ შემთხვევებში, როცა ხდება ფსიქოლოგების ჩართვა:

ისინი ხშირად არ არიან კვალიფიციურები.

არ არის კონკრეტულად განსაზღვრული, რა უნდა გააკეთონ მათ ბავშვის მხარდაჭერის კუთხით.



სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში ბავშვთა მიმართ განსაკუთრებული მიდგომა და მათი საუკეთესო ინტერესების დაცვა პირდაპირ აისახება მათ მომავალ განვითარებასა და მათ მიერ საზოგადოებაში შესაბამისი ადგილის დაკავებაზე. ამ კუთხით განსაკუთრებით მოწყვლადები არიან მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვები, მიუხედავად მათი სტატუსისა. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ პროფესიონალთა კვალიფიკაციას, ვისაც მათთან აქვს შეხება და გარემოს, სადაც ამ ბავშვებთან კომუნიკაცია ხორციელდება. აღნიშნული საკითხების შესწავლის მიზნით, განხორციელდა კვლევა⁷⁰, რომელმაც გამოკვთა მნიშვნელოვანი ხარვეზები. კვლევის ფარგლებში ჩატარდა როგორც სამაგიდე, ასევე თვისებრივი კვლევა, რა დროსაც გამოიკითხა 31 რესპოდენტი სხვადასხვა უწყებიდან (გამომძიებლები, პროკურორები, ფსიქოლოგები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოწმე/დაზარალებული ბავშვები და მათი კანონიერი წარმომადგენლები).

ბავშვზე მორგებული გარემო (ინფრასტრუქტურა) – არქიტექტურულმა გარემომ ბავშვს შესაძლოა დისკომფორტი შეუქმნას, ან სულაც რისკის შემცველი აღმოჩნდეს მისთვის. საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს ბავშვის უფლებას, მოუსმინონ მას, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსთან. ევროპული სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ განმარტავს, რომ საქმე, რომელშიც ბავშვი მონაწილეობს, უნდა განიხილოს არა შემამინებელ, ბავშვის მიმართ მგრძობიარე გარემოში, არამედ ისეთ გარემოში, სადაც ის თავს იგრძნობს უსაფრთხოდ და შესაბამისად უფრო თავისუფლად ილაპარაკებს.⁷¹

პროფესიონალთა კვალიფიკაცია – საერთაშორისო სტანდარტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მართლმსაჯულების სფეროში ბავშვებთან მომუშავე პირების სპეციალიზაციას. „პეკინური წესები“ განმარტავს, რომ – „პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ისეთი ტრენინგი, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, რომ ეფექტიანად განახორციელოს დაკისრებული პასუხისმგებლობები, კერძოდ, ტრენინგები ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვის კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში“⁷². ბავშვების დაკითხვა უნდა განახორციელოს სპეციალურად გადამზადებულმა პროფესიონალებმა.⁷³

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგის როლს და ჩართულობას მართლმსაჯულების პროცესში მოხვედრილი ბავშვების გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში. ზემოთ აღნიშნული კვლევის მეორადი ანალიზი გვიჩვენებს, რომ არ არის განსაზღვრული ის უწყება, ვინც უნდა გადაამზადოს ფსიქოლოგები და პრაქტიკა აჩვენებს, რომ მათი კვალიფიკაცია, უმეტეს შემთხვევაში, არ შეესაბამება შესაბამის სტანდარტებს. ამ კვლევის შედეგად კი გამოიკვთა, რომ ბავშვების გამოკითხვა/დაკითხვის უმეტესობა მიმდინარეობს პოლიციის განყოფილებაში საერთო სივრცეში, სადაც ერთდროულად მუშაობს რამდენიმე გამომძიებელი. ამ სივრცეში ხდება ზრდასრული პირების დაკითხვა. შესაძლოა რამდენიმე დაკითხვა მიმდინარეობდეს ერთდროულად, რის გამოც ისმის არამართო სხვა პირების გამოკითხვის შინაარსი, არამედ თანამშრომლებს შორის არაფორმალური საუბარი, მომლოდინე პირების ყვირილი და უცენზურო სიტყვები და სხვა. ამ პროცესში არ არის უზრუნველყოფილი ბავშვების კონფიდენციალობა.

ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მიზანი 16.3). მისი შესრულების მიზნით, განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები და საქმიანობები, რომლებიც ეხება კანონმდებლობის გაუმჯობესებას (ამოცანა 16.3.1), ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნას (ამოცანა 16.3.3) და მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციურ სპეციალიზაციას.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ, შემუშავებული იქნა აღნიშნული გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში, რომელიც მოიცავს 2018 წელს განხორციელებულ აქტივობებს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაკონკრეტდა არასრულწლოვნის უფლება, რომ საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ფსიქოლოგის დახმარება; დაზუსტდა პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის წესი და მისი ფუნქციები. თუმცა, ფსიქოლოგების ჩართვის წესი და ფუნქციები არ არის განსაზღვრული და აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. გარდა ამისა, ქ. რუსთავეში, UNICEF-ის მხარდაჭერით, პოლიციის დეპარტამენტში, რაიონულ პროკურატურაში და იურიდიული დახმარების სამსახურში შეიქმნა ბავშვზე ადაპტირებული სივრცე, სადაც უნდა განხორციელდეს ბავშვების, განსაკუთრებით მოწმე/დაზარალებული ბავშვების გამოკითხვა/დაკითხვა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით 50-მდე გამომძიებელმა გაიარა დამატებითი გადამზადება და ბავშვების გამოკითხვა/დაკითხვას ახორციელებენ NICHD პროტოკოლის შესაბამისად, რაც

⁷⁰ ფსიქოლოგთა როლი გამომძიების ეტაპზე დაზარალებული და მოწმე ბავშვების გამოკითხვისას/დაკითხვისას – <https://www.rivg.ge/media/1001537/2020/01/20/4811c6652cd87c83c6ac059fca3697b5.pdf>

⁷¹ (ურსინა ვაიდკუნი, დეკემბერი 2016, საქართველო, ბავშვზე მორგებული გარემო: კონცეფცია), იხილეთ პუნქტი IV 54ff და განმარტებითი მემორანდუმი.

⁷² „პეკინური წესები“, წესი 85.

⁷³ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მუხლი 64.

ასევე ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს. ზემოთ აღნიშნული კვლევა⁷⁴ ადასტურებს, რომ ამ პროტოკოლს ყველა არ ან ვერ იყენებს შესაბამისი უნარების არარსებობის გამო.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ შემუშავებულია სპეციალიზაციის მარეგულირებელი მთავრობის დადგენილების ახალი პროექტი, რომლის დამტკიცების შემდეგაც ყველა უწყებაში დეტალურად იქნება გაწერილი შიდა ინსტრუქციები.

კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი კონკრეტულად არ ადგენს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ფსიქოლოგის არასრულწლოვანთა გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ჩართვის საფუძველს. ასევე არ არის განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილების ჩარჩო, რა შემთხვევაში უნდა მიიღებოდეს გადაწყვეტილება გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის თაობაზე. უნდა ჩამოყალიბდეს სახელმძღვანელო პრინციპები/გაიდლაინები, თუ რა შემთხვევაში უნდა მოახდინონ ფსიქოლოგის არასრულწლოვანთა გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ჩართვა და რა უნდა იყოს მათი როლი და ფუნქცია ამ პროცესში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვების გამოკითხვა/დაკითხვის უმეტესობა (რუსთავში გაეროს ბავშვთა ფონდის ადაპტირებული სივრცის გარდა) მიმდინარეობს პოლიციის განყოფილებაში საერთო სივრცეში, სადაც ერთდროულად მუშაობს რამდენიმე გამომძიებელი. მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული ბავშვებისთვის უნდა არსებობდეს უსაფრთხო ადგილი, სივრცე, რომელიც საშუალებას მისცემდა ბავშვებს, მიაწოდონ შესაბამისი უწყებებს რელიგანტური და სანდო ინფორმაცია, ზეწოლის და ტრავმის მიყენების გარეშე. საუკეთესო გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი სახის სივრცეების შექმნა, უნდა მოხდეს იმ ქალაქებში/რეგიონებში, სადაც ამის საჭიროება ყველაზე მეტად იკვეთება და ბავშვს არ უნდა უწყევდეს კომუნიკაცია სამართალდამცავებთან პოლიციის ყველა განყოფილებაში, სადაც არ არის შექმნილი შესაბამისი გარემო.

კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ამ პროცესში ჩართულ ფსიქოლოგებს არ გააჩნიათ შესაბამისი სპეციალიზაცია და ცოდნა, რაც სავალდებულოა, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე არ არის განსაზღვრული შესაბამისი უწყება, ვინც ამაზე იქნებოდა პასუხისმგებელი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს ფსიქოლოგების სპეციალიზაციაზე პასუხისმგებელი უწყება, რომელსაც ასევე დაევალება მათი საქმიანობის ხარისხის კონტროლი.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო გეგმაში აღნიშნული იყო, რომ უნდა დამტკიცებულიყო სპეციალიზაციის მარეგულირებელი მთავრობის დადგენილების ახალი პროექტი, ასეთი სახის დადგენილება არ შემუშავებულა 2018-2019 წლების განმავლობაში.

რეკომენდაციები


- განისაზღვროს კონკრეტული კრიტერიუმები, რის საფუძველზეც მოხდება ფსიქოლოგის ჩართვა მოწმე/დაზარალებულ არასრულწლოვანებთან მუშაობის პროცესში;
- განისაზღვროს გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის და გამომძიებლების როლი და მანდატი;
- საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს ფსიქოლოგების გადამზადებაზე პასუხისმგებელი უწყება;
- გამოკითხვის/დაკითხვის ეწ. NICHD პროტოკოლით ჩატარებას ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი.
- შეიქმნას შესაბამისი ტრენინგ-მოდული ფსიქოლოგებისთვის, რომლის მიხედვითაც მოხდება შემდგომში მათი გადამზადება;
- გადაიდგას ნაბიჯები, ბავშვზე მორგებული გარემოს (ინფრასტრუქტურის) შექმნის კუთხით, განსაკუთრებით დიდი ზომის ქალაქებში და იმ რეგიონებში, სადაც ამის საჭიროება ყველაზე მეტად გამოიკვეთება.

⁷⁴ ფსიქოლოგთა როლი გამომძიების ეტაპზე დაზარალებული და მოწმე ბავშვების გამოკითხვისას/დაკითხვისას - <https://www.rivg.ge/media/1001537/2020/01/20/4811c6652cd87c83c6ac059fca3697b5.pdf>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

განათლება



ქვეყანაში არ არსებობს ინკლუზიური განათლებისა და სოციალური სერვისების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის გეგმა მკაფიოდ განსაზღვრული ინდიკატორებით.



საჯარო სკოლების მხოლოდ **65%-შია სსსმ* მოსწავლე იდენტიფიცირებული.**


**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე*



უკანასკნელ სამ წელიწადში **20%-ით გაიზარდა** სსსმ სტუდენტთა რაოდენობა, ვისაც შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.



2019 წელს 2018 წელთან შედარებით **34%-ით შემცირებულია** პროფესიული სასწავლებლების სსსმ კურსდამთავრებულთა რიცხვი.



პროფესიულ სასწავლებლებში სსსმ სტუდენტთა **50% ვერ ხვდება** სასურველ პროფესიულ პროგრამაზე უშმ** და სსსმ პირებისთვის **დანესებული კვოტის გამო.**

***შემზღუდული შესაძლებლობის მქონე*

სოციალური სერვისები



სოციალური სერვისები არ არის **წარმოდგენილი** საქართველოს ყველა რეგიონში.




გარკვეული სოციალური სერვისები ყოველგვარი **მონიტორინგის გარეშე** მუშაობენ.



ბავშვების შესაბამის სერვისებში **გადამისამართება დაგვიანებით ხდება.**

0-3 წლამდე ბავშვების მხოლოდ **15%-ია ჩართული** ადრეული განვითარების პროგრამაში.



პროექტი „გაითვალისწინე ბავშვების ხმა“ დაფინანსებულია ბულგარეთის განვითარების სააგენტოს მიერ

წყარო:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, MES 92000021203, 13/01/2020, MES 81901783343, 31/12/2019 ანგარიში „ინკლუზიური განათლება საპილოტე საჯარო სკოლებში მონიტორინგის ანგარიში“, 2019

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრის ახალი მოდელი

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ ადგილობრივი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პასუხისმგებლობა აიღო. კონვენციაში გაწერილი მთელი რიგი უფლებების რეალიზება, მათ შორის შესაბამისი მიზნობრივი სერვისების გაჩენა შეუძლებელი იქნება ქვეყანაში არსებული შეფასების სისტემის – სამედიცინო - სოციალური ექსპერტიზის პირობებში. ქვეყანაში არსებული სოციალური სერვისების მიღების წინაპირობაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის არსებობა, რომლის დადგენა/მინიჭება ხდება შეფასების სამედიცინო მოდელზე დაყრდნობით, სამედიცინო ექსპერტიზის გზით და სრულად ეფუძნება სამედიცინო დიაგნოზს (გამონაკლის წარმოადგენს ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა 0 – 7 წლამდე და რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამა 0-3 წლამდე ბავშვებისთვის). ამავდროულად, ხშირია 3 წლამდე ბავშვებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის არ/ვერ მინიჭების შემთხვევები, რაც ხშირად ბავშვს არ აძლევს საშუალებას ისარგებლოს მუნიციპალური თუ სახელმწიფო სოციალური და ჯანდაცვის სერვისებით. შეფასების სამედიცინო მოდელი არ ავლენს ინდივიდის ფუნქციურ შესაძლებლობებს, საჭიროებებს, გარემოში არსებულ ბარიერებს, რის გამოც შშმ პირის სტატუსთან დაკავშირებული სოციალური პაკეტი (პენსია) ფიქსირებულია, მისი მიზნობრიობა არ არის განსაზღვრული და ერთნაირია ბავშვის განსხვავებული საჭიროების მიუხედავად. მოცემული ეტაპისთვის შემუშავდა ბავშვის ფუნქციის შეფასების ინსტრუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც შეიქმნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კითხვარის - Model Disability Survey(MDS)-ის საფუძველზე, თუმცა, ბავშვის ფუნქციური შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პარალელურად არ დაწყებულა სამედიცინო მოდელიდან სოციალურზე გადასასვლელად საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება – მაგ. საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი სერვისების დანერგვა და ა.შ. ასევე განსაკუთრებულ განხილვას საჭიროებს სტატუსის მამიებელი ბავშვის პირისპირ შეფასების საკითხი. მოცემულ ეტაპზე, ბავშვის ფუნქციონირების შესახებ მულტი-დისციპლინური გუნდის წევრები წარმოადგენს იქმნიან მშობლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და ის არ ეფუძნება ექიმი კოორდინატორისა და ფუნქციური შეფასების სპეციალისტის მიერ ბავშვის უშუალო შეფასებას.

განათლება

ინკლუზიური განათლების დანერგვიდან 10 წლის თავზე საჯარო სკოლების მხოლოდ 65% აცხადებს, რომ სასწავლო პროცესში ჩართული ყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე. აღნიშნული მონაცემები იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სკოლების დიდ ნაწილში არ ხდება სსსმ მოსწავლეების იდენტიფიცირება და/ან სსსმ მოსწავლეთა მართლაც დიდი უმრავლესობაა განათლების მიღმა დარჩენილი. 2019 წლის სახალხო დამცველის საჯარო სკოლების მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფას აფერხებს სკოლის ფიზიკური გარემო, რესურსების მრავალფეროვნების სიმწირე, სპეციალისტების და მათი კვალიფიკაციის ნაკლებობა, შიდა და გარე მონიტორინგის სისტემების შეზღუდვები. ბოლო წლებში შემცირდა მულტიდისციპლინური გუნდის წევრების რაოდენობაც – 2019 წლის მონაცემების მიხედვით მულტიგუნდის წევრების და სსსმ მოსწავლეების რაოდენობის საშუალო თანაფარდობა მთელი ქვეყნის მასშტაბით არის 1:177, ზოგიერთ რეგიონში კი – 1:300-თან (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2019). ამავდროულად, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს შორის ნაკლებად არიან წარმოდგენილი ვიწრო პროფილის სპეციალისტები. ზოგადად, სფეროში მომუშავე სპეციალისტების რაოდენობა, მრავალფეროვნება და რეგიონული დაფარვა არაპროპორციულია სსსმ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვების საჭიროებებისა. ინკლუზიური განათლების საკითხებში სპეციალისტებისა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შექმნილი პროგრამები თეორიული ტიპისაა, პრაქტიკული სუპერვიზიის გარეშე და ხშირად არ არის საკმარისი ბაზისური კომპეტენციის გამომუშავებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ 2018 - 2019 წლებში სპეციალური მასწავლებლების რაოდენობა 4-ჯერ, ხოლო მათი გადამზადების რიცხვი 1,5-ჯერ გაიზარდა, ჯერაც დიდია იმ საჯარო სკოლების რაოდენობა, სადაც არ ჰყავთ სპეცმასწავლებლები, ან არ მომხდარა მათი და საგნის მასწავლებლების გადამზადება. 2019 წლიდან საჯარო სკოლებში მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტის პოზიციის გაჩენას არ მოჰყოლია კადრების გადამზადება. მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების მიხედვით განისაზღვრა შესაძლო სერვისები საჯარო სკოლებში სსსმ მოსწავლეთა მხარდასაჭერად, თუმცა ინკლუზიური განათლების დაფინანსების წესი არ აძლევს სკოლებს ფინანსურ შესაძლებლობას, მიაწოდონ მოსწავლეს ყველა საჭირო სერვისი. საჯარო სკოლებში შესაბამისი სერვისების დანერგვას აფერხებს ხისტი ბიუროკრატიული პროცედურები და შესაბამისი კადრების ნაკლებობა.

2017 წლიდან გაიზარდა იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებსაც შეუჭრდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი. 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი იყო - 9%, 2018 წელს – 22%; 2019-ში კი ის 29%-ს აღწევს. 2019 წელს 2018 წელთან შედარებით 34%-ით შემცირებულია პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა რიცხვი. 2018-2019 წლებში 27 სსსმ და შშმ პირს არ/ვერ გაეწია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის რეკომენდაცია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შექმნილი პროფესიული ტესტირების კომისიის მიერ, 50%-ზე მეტ შემთხვევაში უარის თქმის მიზეზი პროგრამაზე დაწესებული სსსმ პირებისთვის განსაზღვრული ადგილების რაოდენობის ლიმიტი იყო.

სოციალური სერვისები

ბოლო წლებში „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსების დადებითი დინამიკის მიუხედავად, კვლევაც პრობლემად რჩება სხვადასხვა პროგრამის მომლოდინეთა სიები, რეგიონალური დაფარვა, მიწოდებული სერვისის ხარისხი, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ფინანსური სახსრების არამიზნობრივი გადაფარვა რიგი სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების ფარგლებში. მიუხედავად სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების რაოდენობის ზრდისა, სამინისტრო არ აწარმოებს შშმ ბავშვების საჭიროებების კვლევას და არ აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, თუ როგორ უპასუხებს ამ საჭიროებებს, რა ტიპის სერვისები უნდა განვითარდეს ქვეყანაში და რა ტემპებით, ადგილობრივ დონეზე არ იქმნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ბაზები და არ ხდება მათი საჭიროებების განსაზღვრა. სამწუხაროდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული ადრეული განვითარების სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები არ ხელმძღვანელობენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მომსახურების სტანდარტებით და საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული ადრეული განვითარების კონცეფციით. შესაბამისად, ვერ ხერხდება სერვისის მიწოდების ერთიანი სტანდარტის და ხარისხის უზრუნველყოფა. დღის ცენტრები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეგისტრაციისა და ფუნქციონირების მინიმალურ სტანდარტებს, იოლად რეგისტრირდება სერვისის მიმწოდებლებად მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში, რადგან აღნიშნულ პროგრამებს არ აქვთ სერვისის მიმწოდებლად რეგისტრაციის სპეციფიკური მოთხოვნები და მონიტორინგის მექანიზმები. შედეგად, მომსახურების უნიფიცირებული სტანდარტისა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის გარეშე ფუნქციონირებს ის დღის ცენტრები, რომლებიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსდება, ასევე, რიგ მუნიციპალიტეტებში ხდება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური პროგრამების თანადაფინანსება, რაც ბუნებრივია, მისასალმებელია თუ თანადაფინანსების პრინციპები და პირობები არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ სტანდარტებსა და პრინციპებს.

რეკომენდაციები

- შემუშავდეს ინკლუზიური განათლების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასება/მონიტორინგის გეგმა მკაფიოდ განსაზღვრული ინდიკატორებით;
- ხელი შეეწყოს პროფესიული, საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების განვითარებას ინკლუზიური განათლებისთვის საჭირო სპეციალისტთა (მაგ. სურდო-პედაგოგები, ქესტური ენის თარჯიმნები, ენისა და მეტყველების თერაპევტები, ორიენტაცია-მობილობის სპეციალისტები, ოკუპაციური თერაპევტები, ფსიქოლოგები, მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტები) რაოდენობის ზრდის და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. მაგ. უზრუნველყოს რეგიონულ სასწავლებლებში ახალი პროგრამების დანერგვა, სწავლის სუბსიდირება და ა.შ.;
- გაიზარდოს სკოლებში ინკლუზიური განათლების მიზნობრივი დაფინანსება, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა საჭიროებების სრულად დაკმაყოფილების მიზნით;
- დანერგოს პროფესიული ორიენტაციის სისტემა, რათა სსსმ აპლიკანტებმა გააკეთონ უფრო ინფორმირებული არჩევანი;
- გადახედოს და შეცვალოს მინისტრის ბრძანება N152/ნ (27.09.2013) „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“, რომელიც აწესებს 10%-იან კვოტას სსსმ პირებისთვის.
- ბავშვის ფუნქციონირების შესახებ სრულყოფილი მონაცემების მიღების მიზნით შემუშავდეს ბავშვთა ფუნქციური შეფასების ოპტიმალური მოდელი;
- ბავშვთა ფუნქციური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად მიღებული შედეგები გაეცნოს (მიღწევები/გამოწვევები/პრაქტიკა) საზოგადოებას და შეიმუშაოს სოციალური პოლიტიკის სტრატეგია;
- შემუშავდეს ადრეული იდენტიფიცირებისა და მიმართვიანობის სტრატეგია, თანდართული სამოქმედო გეგმით;
- დაიხვეწოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციათა მონიტორინგის მექანიზმი.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერაზე დახარჯული სახელმწიფო ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური მართვის მიზნით მოხდეს პასუხისმგებლობების დელეგირება ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის;
- შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ერთიანი ბაზა და დაიშვას ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობა ბავშვების ინტერესების დაცვითა და გათვალისწინებით;
- შემუშავდეს სერვისის მიწოდების საყოველთაო სტანდარტი, რომლის დაკმაყოფილება სავალდებულო იქნება როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებული სერვისის მიმწოდებლების მხრიდან;
- ადგილობრივმა ხელისუფლებამ მხარი დაუჭიროს სერვისის მიმწოდებლებს, რათა მათ დააკმაყოფილონ სერვისის მიწოდების სტანდარტული მოთხოვნები;
- ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიმუშაოს და დაინერგოს სერვისის მიწოდების მონიტორინგის მექანიზმი.

კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის წევრი ორგანიზაციები

1. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
2. საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი
3. გადავარჩინოთ ბავშვები საქართველოს ოფისი
4. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის
5. World Vision საქართველო
6. ააიპ მაკ
7. ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი
8. საქართველოს ბავშვები
9. პარტნიორობა ბავშვებისათვის
10. პირველი ნაბიჯი საქართველო
11. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი
12. ასოციაცია ანიკა
13. გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში
14. თანადგომა - საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი
15. საერთაშორისო ასოციაცია “კვიტას გეორგია”
16. ლეიკოზით დაავადებულ ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ასოციაცია
17. საქართველოს კარიტასი
18. სტუდია ეიდისი
19. ასოციაცია უფლება ჯანმრთელობაზე
20. ქალთა საინფორმაციო ცენტრი
21. ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი
22. მცირე საოჯახო სახლების ასოციაცია
23. ჩვენი სახლი საქართველო
24. წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი
25. ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
26. საზოგადოება ბილიკი
27. არამალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი
28. კავშირი “იმედი პლიუსი“
29. ასოციაცია ბავშვი და ოჯახი
30. სმენისა და მტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია (მშობელთა კავშირი)
31. კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი
32. კავშირი “ორიონი“
33. ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის
34. რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრი
35. დივან ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯია
36. პარტნიორობა სოციალური კეთილდღეობისათვის-პსკ
37. ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა
38. ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება
39. ლეიკოზით დაავადებულ ბავშვთა დახმარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
40. ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის მცხეთა-მთიანეთის კომიტეტი
41. თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის და ადვოკატირების ინსტიტუტი
42. ახალგაზრდული აზროვნება
43. ბავშვი და გარემო
44. ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა საქართველოს აკადემია
45. მშობელთა საინფორმაციო ცენტრი
46. მშობლების თანადგომა
47. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC)
48. საფარი
49. ყვარლის ახალგაზრდული ასოციაცია

